

Земля Region

№28
2018 ივლისი

მეფე - მშენებელი და მშენებელი



ფასი 2 ლარი



ნაპოლეონი ბრძოლის
ველიდან არ გარბოდა.
ჩემი ბრძოლის ველი
ავადყოფების მკურნალობაა.
ამ სამსახურიდან გაქცევა,
ბრძოლის წაგებად მიმაჩნია...
ბიჭიკო ასკურავა



სარჩევი

„და ნუ ოდეს დამივიწყებთ
დავითს..2-7

დავით აღმაშენებელი და
რუის-ურბნისის საეკლესიო
ძეგლისწერა8-12

წმინდანები ამბროსი ხელაია და
ძმები ჯარბელაშვილები.....13

ტრაგედია ტირიფონის ველობე.....13-14

„შურსა და ცილობე
ამაღლებული..15-17

ჯიდევ ერთი დაუვიწყარი დღე.....18

ფიქრები საქართველოზე.....19-20

პურ-ღვინო და არა
პურ-მარლიო.....21-22

იყიდეთ მხოლოდ ქართული..23-24

ბახმარო.....25

საგვარეულო ტრადიცია შვილიშვილებს
ბაბუამ თავის სიცოცხლეში
გადაულოცა.....25-26

ღირდა ამქვეყნად მოსვლა..27-29

გურიის თავადთა და აზნაურთა
ოჯახები.....30

სასარგებლო რჩევები.....31

ანექდოტები32

პირველი ქართული ჟურნალი გურულებზე



REGION

გურულებზე

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
ლელა სურმავა

ტელ: 558 25 65 50

ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru;
lelasurmava@mail.ru

კვირფასო მკითხველო!

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, ჟურნალში განთავსება ფასიანია.

ქრნალი თავისუფალი ჰრანის ჰრინციჰით ხელმძღვანელოვს.

რედაქციური ზემოსული მასალის სიზუსტე ჰასუნს აგებს ავტორი,
ხოლო სარედაქციო ტექსტის ჰასუნისგებლობა რედაქციის ზემავითს ანისრება.

...და ნუ ოღეს დაივიწყებთ დაპითს...



დავით IV ბაგრატიონი საქართველოს მთლიანობისა და სიძლიერის სიმბოლოა!..

სამყარო სულ ღიაა ამ პერსონისთვის. გვსურს, თვალი მივაპყროთ არსთა შორის უზენაესს, უპირველეს მეფეს ქართველთა.

მემატიანე ახალი ყამის დადგომას მეტაფორულად გადმოგვცემს, – ბნელსა უკუნსა შინა ინყო აღმოცისკრებად მზემან...

დავით აღმაშენებელს უკანასკნელი ნება აუხსრულდა, – მეფე-გვირგვინოსანი გელათის ტაძრის კარიბჭესთან დაკრძალეს. დავითმა ქართველ ერს თავმდაბლობისა და სულიერი სიდიადის ძეგლი დაუტოვა...

ფეხი დამადგით, – მე-20 საუკუნეში ისმის პოეტ ანა კალანდაძის სიტყვები...

ფეხი დამადგით, ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან
ვისურვებ დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...

ისტორიული პიროვნება თანადროულობით უნდა განესაჯოთ.

მთავარსარდალი 16 წლის ასაკში გამეფდა.

1089 წელს, მას შემდეგ, რაც პროგრესულმა მოღვაწეებმა გიორგი II-ს გადადგომა აიძულეს, სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი დავითი IV. დავითს სიჭაბუკეში შერთეს სომეხი ქალი, შეეძინათ უფლისწული დემეტრე. პირველ ცოლზე სხვა ცნობები არ მოიპოვება. მეორე ცოლად მოიყვანა გურანდუხტი, ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარალანის ძის ასული, მეფეს შეეძინა კიდევ ერთი ძე ვახტანგი (ცუაბა) და ასულები თამარი, კატაი და თამარ მრწემი.


ისტორიკოს **მარიამ ლორთქიფანიძის** თქმით, – 1089 წელს მამამ დავითს თავისი ხელით დაადგა გვირგვინი. უცნობია, გიორგი II-მ თავად მიიღო ეს გადაწყვეტილება, თუ აიძულეს. დავითის გამეფების შემდეგ მან 20 წელი იცოცხლა, მაგრამ სახელმწიფო საქმეებში არ მონაწილეობდა. მიხვდა, ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას თავს ვერ ართმევდა.

დავით აღმაშენებელს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად – დანგრეული და აშლილი ქვეყანა, ამონყვეტილი და აყრილ-გახიზნული ქართველობა, მეფემ სწორი პოლიტიკა გაატარა, პირველ რიგში აუცილებელი იყო წესრიგის დამყარება, საერო და საეკლესიო ფეოდალთა ალაგმვა, სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალიზაცია და ჯარის რეორგანიზაცია.


ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო მიუტევები,
ღირს მსახურებდი ქართულ მინა-წყალს,
რაი გადარდებს?

გასწიე იგი ნიკოფსიდან დარუბანდამდე...

ისტორიკოსი **როინ მეტრეველი** დავით IV-ს გამორჩეულ მეფედ მიიჩნევს, – ეპოქამ, არსებულმა ვითარებამ, პიროვნულმა თვისებებმა განსაზღვრა დავით აღმაშენებლის ადგილი და როლი იმდროინდელ წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. მე-10 საუკუნის დასასრულს და მე-11 საუკუნის დასაწყისში ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა. სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი, ე.წ. აფხაზთა სამეფო და ქართველთა სამეფო, ანუ ტაო-კლარჯეთი გაერთიანდნენ. ერთიანი საქართველოს პირველი მეფე იყო ბაგრატ III. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, – იმდროინდელი საქართველოს ფარგლები შეზღუდული იყო. როდესაც მეფეებს ქართლის



ურბნისის საკათედრო ტაძარი



რუისის საკათედრო ტაძარი

ჭალებში სურდათ სანადიროდ წასვლა, წინასწარ მეთვალყურეებს აგზავნიდნენ.

დავით აღმაშენებელმა გარშემო შემოიკრიბა ერთგული მოღვაწეები, აღსანიშნავია მნიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი და მეფის მოძღვარი არსენი. მხედართმთავარმა მიზნად დაისახა ქართლის თურქებისაგან განმეხნა და ადგილობრივების საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნება.

თუ ეს მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით...

თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო, რაღა ქნან ცოდვილთ?!

ისტორიკოსი **ნინო ხუნდაძე** სამხედრო გამირობებისა და სახელმწიფოს მართვის უნარს, პიროვნულ თვისებებთან ერთად, მეფის განსწავლულობაში ხედავს, – დავით აღმაშენებელი კარგად ფლობდა სპარსულ და არაბულ ენებს, ქართულ საერო და სასულერო ლიტერატურასთან ერთად აითვისა ანტიკური და აღმოსავლური ლიტერატურის ძეგლები, იცოდა მართლმადიდებლური, გრიგორიანული და მაჰმადიანური სარწმუნოების ნორმები. პატივისცემით ეპყრობოდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მუსულმანებს. დავითი გატაცებული იყო ასტრონომიით, ისტორიული მწერლობითა და ღვთისმეტყველებით. დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია, მეფე კარგად ერკვეოდა ლიტერატურაში და მუსიკაში. მან **ანდრია კრეტელის** დიდი კანონის ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი დაიწუნა და არსენ ბერს სთხოვა ხელახალი თარგმნა. ხოლო იოანე კათალიკოსს დაავალა, ამ კანონისათვის შეექმნა საგალობელი.

მთავარსარდალმა გაატარა მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმები. დაიწყო ლაშქრის რეორგანიზაცია, ჯარის სათანადო წვრთნა და დისციპლინის განმტკიცება.

მარიამ ლორთქიფანიძის თქმით, – დავითმა თავიდანვე გამოამჟღავნა სახელმწიფოს მართვის უნარი, ქართული ლაშქარი სელჩუკებთან დამარცხებების შემდეგ დემორა-

ლიზებული და დეზორგანიზებული იყო. მეფემ მცირე და საშუალო აზნაურების შემადგენლობით შექმნა მცირერიცხოვანი სამხედრო რაზმები, დროდადრო თავს ესხმოდა ქართლში ჩამოსახლებულ სელჩუკებს. ბრძოლებში თავდადებულებს დავით IV საჯაროდ მიმართავდა, ხოლო გულგრილ მეომრებს სადედო ტანისამოსით ლაშქრის წინ გაატარებდა.

დავით აღმაშენებელმა შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრენი და ჩამოაყალიბა მეფის პირადი გვარდია **მონა-სპა**, რომლის შექმნის მიზანი იყო ფეოდალთაგან დამოუკიდებელი ძლიერი ნაწილის შექმნა. მეფემ ლაშქარი სამ ნაწილად დაჰყო, – პირველი მეფის გვარდია, მონა-სპა, მეორე მეციხოვნეები და მესამე მოლაშქრეები.

დავით აღმაშენებელმა ფეოდალური ლაშქარი გააძლიერა, თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით მდგომარეობის განმტკიცება და ურჩი ფეოდალების ცენტრალური მმართველობისთვის დაქვემდებარება. ასეთად ითვლებოდა კლდეკარის ბაღვაშთა სახლი, კერძოდ ლიპარიტ IV. 1093 წელს მეფემ ურჩი ფეოდალი შეიპყრო, ლიპარიტმა ცოდვები მოინანია და გაათავისუფლა, თუმცა 1095 წელს ისევ შეიპყრო, ორი წლით პატიმრობის შემდეგ 1097 წელს იგი ბიზანტიაში გააძევა. **ბაგრატიონთა და ბაღვაშთა** დაპირისპირება რამდენიმე საუკუნე მიმდინარეობდა. სახელმწიფოს ცენტრალიზაციის წინააღმდეგ მებრძოლ ოჯახს დავით IV-მ თავისი ადგილი მიუჩინა.

1103 წელს გარდაიცვალა ლიპარიტის ძე რატი, დავითმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო – **ასე დასრულდა სახლი ბაღვაშთა, სახლი განმამწარებელთა...**

დავით IV-ის მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება, ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა და ძლიერი მეფის ერთპიროვნული მმართველობა. საერისთავოების გაუქმებით დაასუსტა ოპოზიცია და გააძლიერა მეფის ხელისუფლება. დავით IV-ის ხელთ უნდა ყოფილიყო თრიალეთი, სადაც გადიოდა უმოკლესი გზა, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს უკავშირდებოდა. თრიალეთს ჰქონდა სამხედრო, სტრატეგიული და ეკონომიკური დანიშნულება. ამ პროვინციისთვის ჯერ აფხაზთა მეფეები, შემდეგ საქართველოს მეფეები გამუდმებით იბრძოდნენ.

როინ მეტრეველის თქმით, – მეორე დიდი ფეოდალი იყო ძაგან აბულეთისძე, ეს გვარიც ებრძოდა საქართვე-



რუისის საკათედრო ტაძარი



მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი ილია II (ელგუჯა აქიაშვილი)

ლოს მეფეებს. დავით აღმაშენებელი შიომღვიმისათვის დანერგულ ანდერძში საუბრობს, – **აბულეთისძეები გიორგი II-ის მეფობის დროსაც გვებრძოდნენ. მათი დასჯა გადაეწყვიტე, თუმცა არა იყო ნება ჩემი... როგორც ჩანს.** დავითი აქტიურად მონაწილეობდა სამეფოს ცხოვრებაში, ერთ-ერთ სახარებაზე გვხვდება მინაწერი – გიორგი II არის მეფეთ მეფე და კესაროსი, ხოლო დავით მეფე არის სევასტოსი. მოგვიანებით დავითმა ბიზანტიური ტიტულები ჩამოიშორა.

1092 წელს გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა სულთანის მალიქ შაჰ I. უფლისწულებმა დაიწყეს ტახტისათვის ბრძოლა. საქართველოსთვის ხელსაყრელი იყო იქ არსებული რთული ვითარება.

1096 წლის შემოდგომაზე **კლერმონში** შეკრებილ საეკლესიო კრებაზე **პაპმა ურბან მეორემ** საზეიმოდ გამოაცხადა ჯვაროსნული ომების დაწყება – უფლის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ადგილებისთვის ბრძოლა სელჩუკთა წინააღმდეგ, დიდი ძალა დაიძრა აღმოსავლეთისკენ...

დავით აღმაშენებელი მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებზე კარგად იყო ინფორმირებული, შექმნილი ვითარება სათანადოდ შეაფასა და 1099 წელს სულთანს ხარაჯა შეუწყვიტა: **განძლიერდა დავით და განამრავლა სპანი და არღარა მისცა სულტანს ხარაჯა, თურქნი ვერღარა დაიზამთრებდნენ ქართლს...**

მეფის ასეთი თამამი ნაბიჯი ომის გამოცხადებას მოასწავებდა, თუმცა სულთანმა მისი გადაწყვეტილება უპასუხოდ დატოვა. ასე გათავისუფლდა ქვეყანა მძიმე და სამარცხვინო ხარკისგან, რომელიც 80-იან წლებში გიორგი II-ს ერთადერთ ხსნად მიაჩნდა.

მას შემდეგ, რაც სელჩუკთა მარბიელ გუნდებს ქართლში დაზამთრების საშუალება შეეზღუდათ, დავით

აღმაშენებელმა დაიწყო გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოერთება, – ქვემო ქართლი, თბილისი და მისი ოლქი, აგრეთვე კახეთ-ჰერეთი. კახეთისათვის ბრძოლას ზედაზნის ციხით იწყებს: **მან წარულო კვირიკეს ციხე ზედაზენი, ერთი წლის შემდეგ კვირიკე გარდაიცვალა, კახეთში გამეფდა მისი ძმისწული აღსართანი.** დავითმა კახეთზე და ჰერეთზე გადამწყვეტი შეტევის წინ, თავისი მომხრეები გაიმრავლა, დიდებულებმა აღსართან კახთა მეფე შეიპყრეს და მეფეს გადასცეს, ასე დაიკავა დავითმა კახეთი და ჰერეთი.

დიდებულებთან ბრძოლამ დავით აღმაშენებელი დაარწმუნა, რომ დიდგვაროვანი აზნაურების მთავარი დასაყრდენი ეკლესია იყო. 1103 წელს მან მოიწვია რუის-ურბნისის კრება. კრებამ დაადგინა, ის ეპისკოპოსები, რომლებიც საეკლესიო თანამდებობებს მემკვიდრეობით იღებდნენ და არა პირადი ღირსებით თუ დამსახურებით, გადააყენონ და ღირსეული სასულიერო პირები აირჩიონ.

თურქებს ჯერ კიდევ ეკავათ საქართველოს დედაქალაქი თბილისი, ასევე ქვემო ქართლის ქალაქები და ციხეები, მათ შორის ციხე-ქალაქები დმანისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვ. ძლევამოსილი ბრძოლებით დავით IV ნელ-ნელა უახლოვდებოდა თბილისს, თუმცა ბატონყმობაზე დამყარებული ჯარი ჰყავდა, ამიტომ მეფემ საქართველოში 45 000 ყივჩაღი ჩამოასახლა.


1121 წლის 15 აგვისტოს გაიმართა **დიდგორის ბრძოლა**, ქართველთა ჯარს გამოეყო და მტრის ბანაკისკენ გაემართა 200 მხედარი. თურქებს ისინი მათ მხრებზე გადასული მოლაღატებები ეგონათ, რაში შუა ბანაკამდე მიუშვეს. ქართველმა მეომრებმა ხმლები იმიშველეს და დაბნეულ მტრებს დაესხნენ. დავითმა ისარგებლა მტრის არევ-დარევით, სწრაფად ეკვეთა ლაშქრით, თურქები დამარცხდნენ და გაქცევით უშველეს თავს.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ 1122 წელს დავით IV-მ ალყა შემოარტყა თბილისს და აიღო. სამეფო რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა.

მეფე-გვირგვინოსანმა დავითმა მეზობელი ქვეყნები თავის **ჩრდილსა ქვეშე** შეჰყარა და უწოდებდნენ მეფეს აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა და შირვანთა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დავით აღმაშენებელი 1125 წლის 24 იანვარს თბილისში გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათის მონასტერში.

...და ჩემი სული აჩნდა გელათად...

ისტორიას არ ახსოვს დავით აღმაშენებელზე კეთილმსახური, თავმდაბალი მეფე. იგი მოძღვრის კურთხევის



დავით აღმაშენებლის სახელობის მშენებარე ტაძრის წინამძღვარი მამა დემეტრე მურვანიძე



რუისის საკათედრო ტაძარი

გარეშე ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა. სხვადასხვა დროს დავითის მოძღვრები იყვნენ **მამა ევსტატი, მამა იოანე, მამა არსენი, მეუფე გიორგი ყოვლადიღელი** მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი იყო. თავდადებული ქრისტიანი საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

8 თებერვალი წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება გელათის ტაძრის მშენებლობა (დაიწყო 1106 წ.). დაარსა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა – **გელათის აკადემია**. მეფის განკარგულებით შიომღვიმეში ააგეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

სამყარო ისევ ღიაა ამ პერსონისთვის...

წმინდა იოანე მონყალე ამბობს, – რაც კაცთათვის შეუძლებელია, ღმრთისათვის შესაძლებელია.

შუაგულ ქართლში, სოფელ რუისში მროველ-ურბნელ მიტროპოლიტ იობის ლოცვა-კურთხევით შენდება წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი. მაღლით მოსილ ეპარქიაში მისი სახელობის ტაძარი არასდროს ყოფილა. თქმულების თანახმად, დავითი რუისში გალაგნის ფერისცვალების ტაძარში მოინათლა: **რუისში მამაცაშვილების უბრალო ქოხში არაბთაგან მალულად იზრდებოდა ერთი ბაღლი. მათ შთაუბეჭდეს თავიანთი მხურვალე სიყვარული მამულისა და ქრისტეს სარწმუნოების გრძნობა. თავიანთი მამაცობა და ქველობა, რაკი სიჭაბუკეში შევიდა, ის ბაღლი გაიყვანეს ჩერქეზეთში, გარს შემოახვიეს მთელი ჩერქეზნი, ოსნი და მთლად შუა კავკასიის ხალხნი, იმ დიდის ლაშქრით და მამაცაშვილების წინამძღოლობით მომართა იმ ჭაბუკმა საქართველოს, დაეცა არაბებს, დაამარცხა პირველს ბრძოლაშივე. მამაცაშვილებმა აღძრეს მთელი საქართველო, ჭაბუკი მიესია არაბებს, განდევნა იგინი საქართველოდან და საქართველო გაანთავისუფლა და ახლად აღადგინა. ის ბაღლი, რომელიც მამაცაშვილებმა თავიანთ ქოხში გაზარდეს, იყო დიდი დავით აღმაშენებელი, ღვთის მაღლით, არაბებმა ვერ შეიტყვეს, თუ ვის**

ზრდიდნენ მამაცაშვილები, რომ შეეტყოთ, არ იქნებოდა არც აღმაშენებელი და არც მამაცაშვილი.

მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით, რუისის წმინდა დავით აღმაშენებლის ტაძრის მშენებლობას მამა დემეტრე მურვანიძე ხელმძღვანელობს.

– დავიბადე და გავიზარდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ სუფსაში. რუისში ბევრი გურული სასულიერო პირი მოღვაწეობს, – აღნიშნა დავით აღმაშენებლის სახელობის მშენებარე ტაძრის წინამძღვარმა მამა დემეტრემ. მოვილოცეთ რუისის და ურბნისის საკათედრო ტაძრები, დავათვალიერეთ მშენებარე ეკლესია. სასულიერო პირი გზადაგზა გვიყვება, როგორ დაიწყო ღმერთთან დაახლოება.

რადგან ბავშვები ვართ, მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ...

მამა დემეტრე მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. მორწმუნე ოჯახში აღიზარდა. ექვსი წლის ასაკში დედამ, ირმა ჯღარკავამ პირველად მიიყვანა ტაძარში, მოზარდს ქრისტეს სიყვარული სულ უფრო გაულრმავდა. ექვსი წლის ბავშვი უკვე სტიქაროსანი იყო.

– ტაძარში ვცხოვრობდი. გამუდმებით ვლოცულობდი და ვპრომობდი. ვსწავლობდი ლანჩხუთის გიმნაზიაში, შემდეგ საფარის სასულიერო სემინარიაში. **მეუფე იობი (ელგუჯა აქიაშვილი)** გახლდათ ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსი, შემდეგ ეპარქია გაიყო, სხალთისა და ბათუმის ლაზეთის მთავარეპისკოპოსად დაადგინეს. ბოლო 25 წელი რუის-ურბნისის ეპარქიაში მოღვაწეობს. გარკვეული მიზეზით აღმოსავლეთ საქართველოში წამოვედი, მოვხვდი რუის-ურბნისის ეპარქიაში. მოვიხიბლე მეუფის ასკეტური ცხოვრებით, გამიტაცა მონასტრულმა ყოფამ.

– დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია შესული...

– ღვთის შეწევით, დედაღვთისმშობლის და დავით აღმაშენებლის მეოხებით მშენებლობა უწყვეტად მიმდინარეობს. დავითს გამორჩეულად უყვარდა დედაღვთისმშობელი. როცა მტერს ებრძოდა, იგი დავითის ფსალმუნებს კითხულობდა. მემატანიის გადმოცემით, მეფე ისეთი გასხვივსნებული იყო, რომ მტერი ვერ ეკარებოდა. რუის-ურბნისის ეპარქია ყოველთვის საქართველოს გამთლიანებას ემსახურებოდა, ასე გაგრძელდება მომავალში.

– მამა დემეტრე, ახალგაზრდა მოძღვარს დიდი პასუხისმგებლობა დაგეისრათ, რატომ შეგარჩიათ მეუფე იობმა?

– მართალია, 25 წლის ვარ, თუმცა მთელი ცხოვრება მსახურებას, ლოცვას და ტაძრის შენებას მოვანდომე.



ურბნისის საკათედრო ტაძრის ეზოში არსებული საფლავები

მეუფე იობის ხელდასმული ვარ, 2015 წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის დღესასწაულზე დიაკვნად მაკურთხეს, ხოლო 2018 წლის 8 თებერვალს, წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, მღვდლად დამასხეს. მეუფე მლოცველი ადამიანია, მის ლოცვა-კურთხევას დიდი ძალა აქვს. მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა შექმნა **ძამის ხეობა**, სულიერ სავანეში 150 მოქმედი ეკლესიაა, ბერ-მონაზვნები დილის 4 საათიდან ლოცულობენ. მცირერიცხოვანი ერი სწორედ ლოცვამ გადაგვარჩინა, დავით აღმაშენებელს 50 ათასი მეომარი ჰყავდა და კიდევ უფრო მეტი, 72 ათასი ბერ-მონაზონი. დავითმა და თამარმა ააშენეს მონასტრები. თამარის სახელს უკავშირდება ყინწვისის მონასტრის მშენებლობა, სადაც შემორჩენილია ფრესკა **ყინწვისის ანგელოზი**: ძამის ხეობაში არის სოფელი ვედრება, თამარის მეფობის დროს მტერი შემოესია, მეფე მუხლებზე დავარდა და გულმხურვალედ ლოცულობდა. ლოცვის ძალით სოფელს მტერი გაეცალა. ამიტომ ეწოდა ვედრება. ასე რომ, რუის-ურბნისის ეპარქიას გამორჩეული მფარველები ჰყავს, – **ორი დიდებული მეფე და წმინდანი დავითი და თამარი**.



მადლობა უფალს, არსებობენ კეთილი ადამიანები. მეუფის კურთხევით და ჩვენი მამულიშვილების წყალობით, ახალი ტაძარი ჯვარს დაიდგამს, აგუგუნდება ზარები და აღველინება ნირვა-ლოცვა. საკმაოდ დიდი სოფელია, 1500 კომლი ცხოვრობს, ტაძრის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ. სასწაულის თვითმხილველიც გავხდით. გუმბათის დადგმის დროს, მშენებლობაზე მომუშავე პირი გადმოვარდა, სხეულის არც ერთი ნაწილი არ დაუზიანდა. ვგრძნობთ წმინდა დავით აღმაშენებლის მფარველობას, აღვავლენთ დავითის პარაკლისებს. ბაზილიკური ტაძარი სიგრძეა 27 მ, სიმაღლე 17 მ. თქვენს თვალწინ ახლა იდგმება საკურთხევლის გამამშვენებელი ქვა, რომელიც ჩუქურთმით და ვაზის ორნამენტით არის გამდიდრებული, ჩუქურთმები და ორნამენტები ნიკორწმინდის ეკლესიიდან გადმოვიღე.

– **ტაძარს სიძველის იერსახე აქვს, ძალიან მდიდრულია. აქვე გაიხსნება საგანმანათლებლო კერა.**

– დავითმა გელათის აკადემიაში დაარსა იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი საგანმანათლებლო კერა. საბერძნეთში იყო გამალიელის კარი, სადაც დიდი

ღვთისმსახურები აღიზარდნენ. ჩემი მიზანია, დავითის სახელობის აკადემიაში მომავალმა თაობამ შეისწავლოს დოგმატური ღვთისმეტყველება, ახალი და ძველი აღთქმა, საქართველოს ისტორია, ასევე მინანქარზე მუშაობა, ქარგვა და სხვა ხელობა. უფასო სასწავლებელში მიიღებენ განათლებას, გადაეცემათ დიპლომები. რაც მთავარია, კარგ ქრისტიანებად აღიზრდებიან.

– **მამა დემეტრე, ადამიანი უფალს დაშორდა, დაივიწყა ტრადიციები. რას ნიშნავს თქვენთვის ევროპელობა?**

– ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, ყველაფერი წარმავალია. მხოლოდ უფალი მარადიულია. ძალიან რომ მოინდომოს იმ ქვეყნად რამეს წაიღებს ან ვინმე გაატანს?! წმინდანები ამბობდნენ, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, სული თავის სხეულს დაჰყურებს, გაკვირვებულია, როგორ ჭუჭყში ცხოვრობდა. უფალი გვმოძღვრავს – მდოგვის ოდენა რწმენა რომ გქონდეთ, კლდეს გადაადგილებთო. მართალია, ქართველები ეკლესიაში დადიან, მაგრამ არ ლოცულობენ. ზარმაცი ერი ვართ, დილის და საღამოს ლოცვას 5 წუთს არ ვუთმობთ, სხვების საქმიანობა დრო სულ გვაქვს. როდესაც განსაცდელში ვართ, მაშინ გვახსენდება ღმერთი. უფალი ამბობს, – სიტყვითა შენითა გამართლდები და სიტყვითა შენითა დაისჯები... ჩვენი ბაგეებიდან წარმოთქმულ სიტყვას დიდი

ძალა აქვს. პოლიტიკოსები არ უნდა ფიქრობდნენ, რომ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი არიან. საქართველო დედღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა, მისი მფარველობის ქვეშ ვართ. იბერიაა, სადაც ქრისტიანული სარწმუნოება მესამე საუკუნეში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. საქართველო მეორე იერუსალიმია, აქ არის ღვთისმშობლის და მაცხოვრის კვართი. ევროპელობა ნიშნავს წესრიგს, სისუფთავეს, კანონის პატივისცემას, კარგ განათლებას, ღირსეულ ოჯახს და არა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. დიახ, იქ ჩვენი დიდი ოჯახია, სადაც ქართული ტრადიციებით ვზრუნდებით...


21-ე საუკუნეში მეფე-გვირგვინოსანს ღვთის ხელი იფარავს და ახალი საქართველოსკენ მიუძღვება თავის ერს.

ღმერთმა მოგცეს ერთობა, სიყვარული, მამულისა და ერის მსახურების უნარი. ქრისტემ დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ. ღმერთს ებარებოდეთ, ამინ!

ლელა სურმავა



დიდგორის ველი



შუაგულ ქართლში, რუისში, სადაც დავით აღმაშენებელი შვიდ წლამდე იზრდებოდა, შენდება წმინდანისა და მეფე-გვიგრგვინოსნის სახელობის ტაძარი. გთხოვთ, შეიტანეთ თქვენი წვლილი.

TBCBGE22
GE75TB7521936080100003

ბელ: 599 18 19 62



დავით აღმაშენებელი და რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლისწერა

დავით IV ბაგრატიონს, 16 წლისა რომ ავიდა სამეფო ტახტზე, გაპარტახებული ქვეყანა ჩაბარდა. პიროვნულმა სიძლიერემ, შემართებამ, პოლიტიკურმა ალღოიანობამ, სტრატეგიულმა ნიჭმა შეაძლებინა სული ჩაედგა საქართველოსთვის. იგი სამშობლოს მთლიანობისა და სიძლიერის სიმბოლოდ იქცა ქართველთათვის.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრე ნუსხს, დავითის საქმეთა მაქებრად მხოლოდ ძველი რიტორები თუ გამოდგებიანო; არადა მან შეძლო მეფე-გვირგვინოსნის განუმეორებელი სახის შექმნა; აღწერა, შეაფასა დავითის საარაკო საქმე-გმირობანი და შეგვალწვევინა მისი სულიერი სამყაროს ლაბირინთებშიც.

მემკვიდრის გარდა დიდი მეფის პიროვნებას ჩვენ წინაშე აცოცხლებს მისი **გალობანი სინანულისანი**, ანდერძები (1123 წლისა, შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული, და 1125 წლისა, რომელშიც აღბეჭდილია მეფის უკანასკნელი ნება) და სიტყვა, მიმართული მოლაშქრეებისადმი ბრძოლის წინ; მეფის უაღრესად საინტერესო ეპიზოდზე მოგვითხრობს არსენ ბულმაისიმიძე; ბევრს რასმე მიგვანიშნებს დავითის ეპიტაფიაც; საინტერესოა ჩვენამდე მოღწეული გადმოცემებიც, მაგალითად, მისი პირადი მონაწილეობის თაობაზე გელათის მონასტრის მშენებლობაში; მრავლისმეტყველია შუა საუკუნეებში დასავლეთსა და აღმოსავლეთში შექმნილი ლეგენდები მეფე-მღვდელმთავარ იოანე-დავითზე – ევროპელი რაინდები ოცნებობდნენ, ძლევამოსილ მეფე-ხუცესს მათთვისაც აღმოეჩინა დახმარებაო (1, 365-400)...

მიუხედავად იმისა, რომ დავით მეფის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა საფუძვლიანად არის შესწავლილი, ნაკლები ყურადღება ექცევა ძეგლისწერას დართულ ქებას, რომელიც აირეკლავს ეპოქის თვალთახედვას დიდი მეფის ღვაწლზე. მნიშვნელოვანია, რომ ქება შექმნილია დავითის მოღვაწეობის ლამის დასაწყის ეტაპზევე, ხოლო მეხოტბე ახერხებს შესაქმნისა და კაცობრიობის ისტორიის ფონზე სრულად წარმოაჩინოს მონუმენტური სახე მეფე-აღმაშენებლისა.

გვმართებს თავიდანვე გავითვალისწინოთ დავით მეფის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიის თავისებურებანი, მან ლამის ერთდროულად დაიწყო ზრუნვა საქართველოს დაკარგული მხარეების დაბრუნებაზე, ერის ზნეობრივ განმტკიცებასა და ქართული სულიერი კულტურის აღორძინებაზე, ხმალამონვდილი მიუძღოდა ლაშქარს და პირადი მაგალითით შთააგონებდა მეომრებს. ბრძოლები დააგვირგვინა ძლევა საკვირველით. ამ გამარჯვებათა შედეგია მაჰმადიანთა ტყვეობაში მყოფი თბილისის გათავისუფლება და სამეფო რეზიდენციის ქუთაისიდან ახალგამოცხადებულ დედაქალაქში გადმოიტანა.

ქვეყნის აღმაშენებელმა იცოდა, რომ სახელმწიფოს სიძლიერე მხოლოდ ტერიტორიულ მთლიანობას არ ეფუძნებოდა. აუცილებელი იყო ხალხის ერთი ზნეობითა და ერთი სულისკვეთებით შედუღება. ამიტომაც მოიწვია 1105 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომლის



ლაურა გრიგოლაშვილი

საკანონმდებლო ძეგლი ხალხის ზნეობრივ განახლებას ისახავდა მიზნად. ნიკო ურბნელის თქმით, – **მართალია, ძეგლისწერა უფრო სასულიერო და საეკლესიო წესწესობილებას აპყრობს ყურადღებას, იგი უფრო ებრძვის ზნეობრივ სენს და უკანონობას, რომელიც სასულიერო წოდებაში იყო გავრცელებული, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს წოდება მჭიდროდ შეკავშირებული და შესისხლხორცებული იყო მთელს ერთან, სასულიერო წოდების წყლული და სენი მთელი ხალხის სენსა და წყლულს შეადგენდა. ამ მხრივ ძეგლისწერა საზოგადო კანონი და სჯული იყო მთელი ერისათვის (13).** მისდამი სრული მორჩილება გამოხატა დავით აღმაშენებელმა თავის სინანულის სა-

გალობელში, ანდერძებსა და უკანასკნელ ნებაში, დაკრძალული გელათის ტაძრის კარიბჭესთან – **მეფემ ერს თავმდაბლობისა და სულიერი სიდიადის ძეგლი დაუტოვა.**

დავით აღმაშენებელმა ქვეყნის ინტელექტუალური ძალების გამოსაფხიზლებლად 40 ახალგაზრდა სწავლავანათლების მისაღებად საბერძნეთში გაგზავნა. იღვწოდა საგანმანათლებლო კერების, როგორც საზღვარგარეთული, ისე ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების, გასაძლიერებლად. ამ სულისკვეთებით შესდგომია ღვთისმშობლის დიდი ტაძრის შენებას. სწორედ გელათში დაარსდა აკადემია, რომელიც **წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთის მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლულებისად. სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა (10: 331).**

განსწავლული, განათლებული, მუდამ ძიებაში მყოფი დავით აღმაშენებელი, ასე ბრძანებდა: **კაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრება არსო.** როგორც დავითის მემკვიდრე გვამცნობს, მოუცლელი მეფის ყველაზე გადაუდებელი საქმე წიგნი იყო. კარგად იცნობდა ბერძნულ, არაბულ, სპარსულ მწერლობასა და კულტურას. ილია ჭავჭავაძის თქმით, – **დავითი თავდადებული მოყვარე თავისი ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისცემელი იყო სხვისი ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ამ დროში, როცა კაცი კაცს შესაქმელადაც არ ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მე-12 საუკუნის კაცთაგან (12:181).**

დავითმა გამორჩეული ზედწოდება აღმაშენებელი დაიმსახურა, – კონოტაციებით მდიდარი, შინაარსობრივად დატვირთული ზედწოდება, რაზეც ყურადღება პირველად რევაზ სირაძემ გაამახვილა (9: 90-96) მისი გაგებით, დავითს ეს წოდება დაუმკვიდრდა იმიტომაც, რომ იგი საქართველოს სულიერი სიკეთით აღმშენებელი ანუ სიკეთით აღმავსებელი იყო. მართლაც, ძველი ქართული ტექსტების მიხედვით, აღშენება ნიშნავდა ა) შენება-აგებასაც, ბ) სიკეთით, სულიერებით აღვსებასაც, გ) განახლებასაც (7: 24).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება დავით აღმაშენებლის პირადი ნებითა და მონაწილეობით გაიმართა ქარ-

თლის სანახებში. ძეგლისწერის ზედწარწერაში ვკითხულობთ: **ძეგლისწერა წმიდისა ღმრთივეშეკრებულისა კრებისა, რომელი შემოკრება ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისათა (2:176).**

კრებას თავმჯდომარეობდა ქართლის კათალიკოსი იოანე. ძეგლისწერაში ის წარმოჩენილია, როგორც **თავ და წინამძღვარ და პირ წმიდისა მის კრებისა, სიმშვიდითაცა სულისა თა მიმსგავსებული მოსესი და მსგავსად დიდისა სამოელისსა წინამლოცველ ერისა და მცხებელი მადლით სრულყოფადთა იოანე ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი – კათოლიკოსი და ყოვლისა საქართველოზა დიდი მამამთავარი (2:184).** კრების მთავარი მდივანი ყოფილა არსენ იყალთოელი – მე-11 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-12 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი; დავით აღმაშენებლის მემკვიდრის თქმით, – **მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა ენათა, განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა (10:356),** მანგანის სახელგანთქმულ აკადემიაში განსწავლული, ეფრემ მცირეს დამონაწერებული, დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი, ჩვენში ახალი კულტურული ეპოქის ერთ-ერთი შემოქმედი.

რუის-ურბნისის ძეგლისწერა მიჩნეულია ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ განჩინებად შუა საუკუნეების წერილობითი მემკვიდრეობიდან (2;3). ძეგლისწერა, ილია აბულაძის განმარტებით, ნიშნავს აქტს, ტრაქტატს, დადგენილებას, ხსენებას. ეს ცნება ჩვენში ფსალმუნთა თარგმანების მეშვეობით უნდა იყოს დამკვიდრებული. მხედველობაში მაქვს დავით წინასწარმეტყველის მე-15 ფსალმუნის ზედწარწერა: ძეგლისწერა დავითისი. ამ ფსალმუნის ზედწარწერა *miktam* (ებრ.), ოქროს პოემა ფსალმუნის შინაარსის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს. ყველა ხალხს აქვს ჩვევა, უკვდავონ ხსოვნა მნიშვნელოვანი მოვლენისა თუ ადამიანისა მათ სახელზე ნაგებობის აღმართვით (14:167).

რუის-ურბნისის ძეგლისწერა შედგება 4 ნაწილისგან: I – შესავალი, II – კანონები, III – შესხმა, ქება დავით მეფისა, და IV – სინოდიკონი (მრავალჟამიერი ცოცხალთათვის და მოსახსენებელი გარდაცვლილ სულთა). დავით აღმაშენებელი რუის-ურბნისის კრების მხოლოდ შთამაგონებელი, მხოლოდ მსვლელობისა და შედეგების დამკვირვებელი რომ არ იყო, ეს კარგად ჩანს ძეგლისწერის შესავლისა და დავითის გალობანის მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალურ თანხვედრასა და კონკრეტულ ფრაზეოლოგიურ თუ ლექსიკურ შესხვედრებში ამ ორი ტექსტისა. რა თქმა უნდა, ძეგლისწერა ადრეა შექმნილი, ვიდრე დავითის პოეტური აღსარება, მაგრამ აშკარაა, რომ დავითს შეუსისხლბორცვბია **არსენ იყალთოელის**, თავისი მოძღვრის (როგორც მას თვითონ მოიხსენიებს ანდერძში: **სასომან და განმანათლებელმა ჩემმან ბრძენმა არსენი მიბრძანა**), თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნააზრევი.

ძეგლისწერის შესავალი განსაზღვრულია შუასაუკუნეობრივი მსოფლმხედველობრივი და ეთიკური პრინციპებით. საეკლესიო კრების აქტი (ისევე როგორც ყოველი

მნიშვნელოვანი მოვლენა) მოიაზრება საკაცობრიო ისტორიის ფონზე. თხრობას, აზრთა სვლას წარმართავს ტელეოლოგიური პრინციპი – დასაბამიდან დასასრულამდე. ძეგლისწერაში, რომელიც ეფუძნება დიდი სჯულის კანონის სტრუქტურას, თანმიმდევრულად აისახება მოვლენები: შესაქმე, პირველცოდვა, ცოდვათა გამრავლება და სასჯელი; მსაჯულნი, მეფენი, წინასწარმეტყველნი, გაუქმება ბუნებითი და დანერლი (მოსეს) სჯულისა, ქალწულისაგან სიტყვის განკაცება ცოდვათა დასახსნელად, ქრისტეს მოციქულები; აქვე შემოდის წმინდა წინოს თემა, ქართველთა სახელმწიფოს გაქრისტიანება; მსოფლიო კრებები და მათ მიერ განჩინილი კანონები. მთხრობელი გვიხსნის: **ეს ამისთვის მოვიწყენით, რათა პირველითგან პირი სიტყვსა ჩუენისა განეჰმარტო (2:188).**

შემდეგ თხრობა ფოკუსირდება ანთროპოლოგიურ პრობლემებზე, თუმცა მეორდება წინარე მსჯელობაში გამოყოფილი თემები. **არსენ იყალთოელის** აქცენტები ასეთია: ადამიანი ღვთის ხატებად და მსგავსებადაა შექმნილი: ის შემაერთებელია ხილულისა და უხილავისა, საცნაურისა და გრძნობადისა, მაგრამ იგი განშიშვლდა ცდომისაგან და მოსწყდა პირველსახეს: ღმერთმა ადამის მოდგმის გადასარჩენად კაცი **გუამოვნებით შეაერთა თავისა თვსსა და ერთგუამქმნელი** ადამიანი თავისი მოქალაქე გახდა. შემდეგ ნახსენებია ბუნებითი სჯული, დანერლი სჯული, ქალწულისაგან შობა, ბაგა, **წაგრავნად** ანგელოზმადიდებელნი... ქადაგებანი მოციქულთანი, სისხლი მოწამეთანი, სწავლანი მოძღუართანი, ოფლნი ღირსთა მამათანი და გულმოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეფეთა.

დავითმა მიჰბაძა ღმრთივდაცულ მეფეთ, ღვთისმოყვარე ეპისკოპოსებს და რათა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა შეუერთნეს ღმერთსა ქრისტიანენი, მოიწვია საეკლესიო კრება, აქვე ჩართულია სამქებრო სიტყვები დავით აღმაშენებლისადმი, რაც ერთგვარად შემამზადებელია კრების განჩინებას დართული სადიდებლისა. აი, ეს ტექსტიც: **გვრგვნოსანი მრჩობლ მარჯუენე და შეყუარებული გვრგვნი თავისა და სასურველ ძე დავით, რომელი-ესე ერთბამად მწნეცა არს და ბრძენ. მართალ და წმიდა, იგივე მყუდროცა და მშუდ, სახიერ და ტკბილ, მონყალე და ძვრუქსენებელ და მომსგავსებულ სახიერებისა ღმრთისასა, რომელი აღმოუბრწყინებს მზესა კეთილსა და ბოროტთა და ზრდის ყოველთა წვითა სწორებით (2:182-184).**

მთავარი ის არის, რომ ვინც სინანულის საგალობლის კომპოზიციას დააკვირდება, აზრთა სვლას მიჰყვება, შენიშნავს მის არსებით მსგავსებას ძეგლისწერის კომპოზიციურ სტრუქტურასთან. ეს არცაა გასაკვირი, შუასაუკუნეობრივი აღქმა სინამდვილისა ერთიანია, მთლიანია, კონცეპტუალურად მტკიცეა. ამიტომაცაა დავითის საგალობლის შემკვრელი მსოფლალქმა თანხვედრი ძეგლისწერის შესავლის შინაარსობრივი სქემისა. ყურადღება უნდა გამახვილდეს **ძეგლისწერისა და გალობანი სინანულისანის** ტექსტუალურ შეხვედრებზეც, იდენტურ ტერმინოლოგიასა და სიტყვათმეთანხმებაზე. შემოგთავაზებთ რამდენიმე მაგალითს:



დავით აღმაშენებელი

არსენ იყალთოელი

ა) ვინაიდან დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თვისა კაცი... რაათა მის მიერ, ვითარცა საზოგადოებასა საკრველისა მიერ, ხილულთა და უხილავთადასა თავსა თვისა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი (2: 182).

ბ) სჯულნიცა უქმ იყვნეს, ბუნებითსა ვიტყვი და დანერილსა. ამისთვის მოგუეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დანერილი სჯული. ამისთვის იქმნა განკაცება ღმრთისა (2: 178, 183).

გ) საკუთრად ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა წრცნი შეიმოსნა (2: 178).

დ) მიცემული მისდა სჯული ნინაუკოდ საღმერთოდასა ნებისა იჭუ-მია (2; 177).

ე) თაყუანისმცემელი ხატისა ღმრთისა თაყუანის-სცემს მის მიერ (2: 177)

ვ) ნაცვლად დამბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან... განცოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სიჩქერისა (2: 170).

ზ) ცეცხლითა მოწუვად აიძულა სოფლები ხუთქალაქისა (2: 177) და სხვ.

დავითის სინანულის საგალობლის ამგვარი შეხმანება ძეგლისწერის ტექსტთან გაცილებით ხელშესახებია, ვიდრე დიდ კანონთან ანდრია კრეტელისა.

ვფიქრობ, არ იქნება ზედმეტი, თუ ძეგლისწერასთან დავითის სინანულის საგალობლის ერთი იდეოლოგიური-ემოციური თანხვედრის შესახებაც გავამახვილებ ყურადღებას. ძეგლის წერაში კრების მოწვევის მიზეზებზე (იგულისხმება საეკლესიო ცხოვრების ზნეობრივი პრინციპების შერყევა) საუბრისას გაისმის გამორჩეული ინტონაციით შეფერილი სიტყვები, რომელთაც შეთავსებული აქვთ დედაეკლესიისადმი ერთგულების ფიცისა და ერის

დავით აღმაშენებელი

ხატსა თვისა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამანესე შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ შორისცა შეკრებითა (4: 1, 2).

სჯულნი დავთრგუნენ ნიგნისა(ნი) და ახალი ბუნებითურთ. ამისთვის იყო ქალწული და წორცქმნა სიტყვსა (4: V, I, II, 4).

საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უბრწნელო ქალწულო (4: VIII, 3).

ბუნებითი რა ძალნი არა სჯულთაებრ გიჭუმიენ (4: 1. 3).

პატივისა ხატისა შენისა შენდამი ნიაღმრთავლს ღმრთისმეტყუელთაებრ (4: VIII, 4).

ელლენთა მიერ ვერცნობა სიბრძნითა ღმრთისა თა ღმრთისა და შემოქმედისაგან შექმნილთა მიმართ ცვალება სრულვყავ (4: VIII, 3).

ხუთქალაქელთა შეგინებთ-სა მწვრე უფროს ვამრავალნილ (4: III, 2).



სასიცოცხლო ძალების კონსოლიდაციის ფუნქცია: **გარნა არათუ უბინოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბინი რა მე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუენთ შენ სინმინდით, მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელქმნილ ვართ, ვინაიდან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ – მონამე არს ჭეშმარიტებად (2: 184).** დავით აღმაშენებელიც, რომელიც თავის საგალობელში კაცთა მოდგმის მიერ ღამის ყოველი ცოდვის თანამონაწილედ, გადმომღებად სახავს თავს, რომელიც მიიჩნევს, რომ ცოდვილთა შორის ის არის, **პირველი, საშუალი და დასასრული, უფსკრული, შესაკრებელი ბილნებისა ლუართა**, თავის თავში პოულობს ძალას, წარმოთქვას გულწრფელობით განმტკიცებული სიტყვები: **დალათუ ესრეთ განვხრწნენ ყიველნი გრძნობანი და ყოვლად ხრწნილობა ვიქმენ, გარნა არავე აღვიხუენ ჳელნი, არცა დავდე სასოება ჩემი ღმრთისა მიმართ უცხოდასა, არცა უცხო-თესლი რად-მე სარწმუნოებად სანურთელ ვყავ სულისა, გარეშე მისსა, რომელი მასწავეს ღმრთისმეტყუელთა შენთა (4:2).** ამჟამად, დავით აღმაშენებელი განმსჭვალულია არსენ იყალთოელის სწავლებით.

რუის-ურბნისის ძეგლისწერას გვირგვინად ადგას დავით აღმაშენებლის შესხმა, რომელიც არსენ იყალთოელს ეკუთვნის. ის ძეგლისწერის ძირითადი ტექსტიდან გამოყოფილი და დასათაურებულია: **მეფესა დავითის მონაზონი არსენი.**

ტრადიცია მეფე-იმპერატორებისადმი ეპისტოლეებით მიმართვისა მსოფლიო საეკლესიო კრებათა პრაქტიკაშია შემუშავებული. ქება მიეკუთვნება პანეგირიკულ, ეპიდითიკურ (სადღესასწაულო ფანრს. მისი საყრდენია ბიბლიური და ისტორიული რეალიების ამსახველი პლასტების თანამიმდევრული კავშირი, ახასიათებს სტერეოტიპულობა, კონვენციურობა, ესთეტიკურ პრინციპთა ერთგვარობა.

მიძღვნა დავით აღმაშენებლისადმი იწყევა შეკითხვით: **ამათდა მიმართ რასა იტყვ, რასა სიბრძნის ჰმოყუარებ შენ?** ძეგლისწერის ძირითად ტექსტს ლოგიკურად ებმის ეს შეკითხვა, ავტორი პატივს მიაგებს მეფე-გვირგვინოსანს, წარუდგენს კრების განჩინებას და სთხოვს მის შეფასებას. კითხვა რიტორიკული ხასიათისაა, რადგან ბუნებრივია, ავტორი კონკრეტულ სიტუაციაში არ ელის მეფის პასუხს, მით უფრო, რომ დავით მეფე თვითონვეა ამ კრების შთამაგონებელი. მან შეკითხვა გამოიყენა ძირითად ტექსტთან **ქების** ლოგიკური კავშირის დასამყარებლად და კიდევ მიაღწია მიზანს.

უნდა განვსაზღვროთ, ნიმუშის ესთეტიკით შექმნილ პანეგორიკულ თხზულებაში როგორ აირეკლება დავით აღმაშენებლის სახე და ბუნება, როგორ ჩასწვდნენ თანამედროვენი დიდი მეფის ღვანლის არსს. ქება დავითისა იმითაცაა საყურადღებო, რომ პირველად გვხვდება ფაქტი, როდესაც საეკლესიო პირი შესხმას წერს საერო პირზე (5: 943).

ქება იწყება უჩვეულო ეპითეტების, შედარება-მეტაფორების, პარალელების, სიმბოლური სახეების დახვავებით. ავტორის მიზანია, თავიდანვე გვაუწყოს, რომ დავით მეფე არსთა შორის გამორჩეულია, აღმატებულია. იგი მამართავს მბრძანებელს: **ჰაეროვან ხარ ვითარცა სამყარო ხილულსა სოფელსა შორის**, აქვე შევნიშნავ, რომ ძველ ქართულ ტრადიციაში სამყარო, სულხან-საბა ორბელიანის თანახმად, არის **ცაა უძრავი და მყარი გარეგან სხუათა ცათა, რომელსა ზედა არს სასუფეველი და მწედრობა ცათა**. ე.ი. სამყარო უმაღლესი ცაა, ცხრა ცაზე აღმატებული, ღმრთის საუფლოა, მიუწვდომელია, არსენ ბერი და მასთან ერთად მსმენელი თვალს მიაპყრობს არსთა შორის უზენაესს, მეფეს ქართველთა.

მჭევრმეტყველება გრძელდება: *საჩინო (ხარ) ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის; ბრწინვალე ვითარცა ეთერი ნივთთა შორის, ნათლისებრ ვითარცა ელვად ღრუბელთა შორის, ცისკროვან ვითარცა აღმისავლეთი კერძოთა შორის, ღმრთის სახე ვითარცა სიყუარული სათნოებათა შორის, გულისსათუქმელ. ვითარცა ოქროდ მინათა შორის, ელვარე, ვითარცა სიყუარული სათნოებათა შორის, მაღალ, ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის, შუენიერ, ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის, აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის, ძღერ, ვითარცა ღომი მწეცთა შორის, მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუთეთელთა შორის* (2: 133-134). მოტანილი ფრაგმენტი ქებისა, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ჩვენში ატიკიზმთან ერთად შემოღწეულია აზიანიზმზე დაფუძნებული ხედვა სტილისა, რომელიც გულისხმობს ფრაზის დახვეწას, გალამაზების პარალელიზმით, შედარება-ეპითეტებით, გამორჩეული რიტმიკით.

შესავლის შემდეგ ერთგვარად იცვლება ქების რეგისტრი, მეფის განსაზღვრებად არსენი ბერი ახლა მამართავს შედარებებსა და პარალელებს ისტორიულ გმირებთან, მეფეებსა თუ ბიბლიურ პიროვნებებთან. ამგვარად იქმნება ღრმა ქვეტექსტებით დატვირთული სახე მეფისა. ყურადღებას იპყრობს ქების ავტორის მახვილი ხედვა, უფართოესი თვალსაწიერი, ქებაში პარალელების აგებისას მისთვის არ არსებობს რელიგიური და ნაციონალური საზღვრები, ხოლო განთქმულ ადამიანთა მოხმობისას ზუსტადაა მინიშნებული მონათესავე მახასიათებლები.

მეცნიერთა შორის გაჩნდა აზრი, რომ რუის-ურბნისის კრებამდე დავითს ფაქტობრივად რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია არ უწარმოებია, გარდა ზედაზნის ალებისა. ამიტომ ქებაში მისი შედარება განქმულ გმირებთან შეუფერებელია ისტორიული კონტექსტისათვის: ეს ეჭვი გააქარწყლა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა: *დავით აღმაშენებელმა გამეფების უმაღლესი მოუყარა ერთგულთა რაზმებს, კარგად განვრთნა ისინი და არაერთი ბრძოლა გაუმართა თურქ-სელჩუკებს. ყველა ეს ბრძოლა დიდი წარმატებით დამთავრდა. თურქ-სელჩუკები დავით აღმაშენებელმა განდევნა საქართველოდან. (თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს) და ხარკის მიცემა შეუწყიტა სულთანს. (არღარა მისცა სულტანს ხარაჯა). დაიმსხრა მითი თურქთა უძლეველობის შესახებ. ის, რომ*

კონკრეტულად ბრძოლის ადგილი და მიმდინარეობა ჩვენს წყაროებში არ არის მითითებული, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მეფეს ძლევა მოსილი ბრძოლა არ გადაუხდია. რაც ჩვენ არ ვიცით, კარგად იცოდა შესხმის ავტორმა. დავითის მეფობის პირველი თხუთმეტი წელიწადი ერთიანი საქართველოს ზეაღმავლობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამარჯვების წლებია, რაშიც უშუალო ღვანლი მიუძღოდა პირადად საქართველოს მეფეს და სულაც არ უნდა იყოს მისთვის შეუფერებელი ეპითეტები, რომლითაც შესხმაში მოიხსენიება იგი. (8: 243).

დავითი სახელგანთქმულია ვითარცა გმირთა შორის ნებროთ – ნოეს ძის, ქამის, შვილიშვილი, რომლის სამეფო მოიცავდა მთელს შუამდინარეთს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გმირს ადრეულ ეპოქებში დღევანდელისგან განსხვავებული შინაარსიც ჰქონდა. სულხან-საბას განმარტებით, გმირი კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეულ ძალითა. ნებროთის საგმრო საქმეები აპოკრიფულ წიგნშიცაა ნახსენები.

შემდეგი სახე-პარალელი ასეთია: დავითი ახოვანია (შეუპოვარია), ვითარცა ისუ წინამძღოლთა შორის. ბიბლია გვამცნობს, რომ მოსეს შემდეგ სწორედ ისუ ნავე წარუძღვა ებრაელ ხალხს აღთქმული ქვეყნისკენ და ღვთის დახმარებით მიაღწია მიზანს. არსენ ბერს ასეთ შეუპოვარ წინამძღოლად ესახება დავით აღმაშენებელიც, მასაც ღვთის ხელი იფარავს, ისიც ახალი საქართველოსკენ მიუძღვება თავის ერს.

დავითი მოშურნეა (შურიტ შეპყრობილი), ვითარცა ფინეზ მღვდელმთა შორის, შური კი ძველ ქართულში დიდ სურვილს აღნიშნავდა. მოშურნე კარგის მბაძველს, კარგისკენ მსწრაფს გულისხმობს. ფინეზი კი იუდეველთა მღვდელმთავარი იყო (შვილიშვილი აარონისა), ვისაც ებრაელი ხალხი ენდობოდა სარწმუნოებისადმი ერთგულებისა და სიმტკიცის გამო.

დავითი მხნეა, ვითარცა სამსონი მსაჯულთა შორის, სამსონი ბიბლიური გმირია, გოლიათი, უძლეველი, ნაზორეველთა ტრადიციების შესაბამისად სამსონი გრძელ თმას (კონლებს) ატარებდა. როდესაც მას მოტყუებით თმა შეკვეცეს, ძალა დაკარგა და ფილისტრიმელებმა დაამარცხეს. მტრები გამარჯვებას დაგონის ტაძარში ზეიმობდნენ. სამსონიც იქვე ჰყავდათ მიჯაჭვული. ტყვეობაში მას თმა წამოზრდია და ძალაც დაბრუნებია, სამსონს ტაძრის ორი სვეტისთვის ხელები შემოუჭდვია და დაუყვირია: *მოკუედინ თავი ჩემი უცხოთესლთა ამათ თანა!* (მსაჯ. XIV, 30). ტაძარი ჩამონგრეულა, ქვეშ მოჰყოლია სამსონი და სამი ათასი ფილისტრიმელი. მართალია, დავითს ამ დროს დიდგორი არ ჰქონდა გადახდილი, თავისი ლაშქრისთვის არ მოუწოდებია, რომ მზად ყოფილიყვნენ ბრძოლის ველზე დასახოცად, მაგრამ დავითი ხომ, მემატიანის თქმით, ამ სულისკვეთებით ებრძოდა მტერს ყველა შეტაკებისას. დავითი *უბრძოლელია, ვითარცა აქილევ ელინთა შორის*. საბას განმარტებით, მბრძოლი – ბრძოლის მოქმედა, პირველად ბრძოლის ამშლელი, ხოლო უბრძოლელი უვნებელია, დაუმარცხებელია. დავით მეფეს სწორედ ასეთად წარმოგვიდგენენ მისი თანამედროვენი.

დავითი ბრძენია, ვითარცა სოლომონი და მშვიდია, ვითარცა დავით ცხებულთა შორის. დავით წინასწარმეტყველმა ხომ საოცარი სიმშვიდე, მიმტევებლობა გამოავლინა მეფე საულისა და აბესალომის მიმართ. სულხან-საბას განმარტებით: *ოდეს სხვათა ევნებოდეს და არა უსჯიდეთ, ესე სიჯაბნე არს, ხოლო ოდეს ჩუენ ბოროტი შეგუემ-*

თხვოს და დავითმინით ესე სიმშვიდე არს. როგორ ესადაგება, როგორ ერგებადავითის დიდბუნოვნებას სიმშვიდის აღნიშნული გაგება. ხოლო სოლომონ მეფე, ავტორი სამი სოფიოლოგიური ნიფნისა (იგავნი, ეკლესიასტე, ქება ქებათაჲსა), კაცობრიობის ისტორიაში ადგილს იმკვიდრებს, როგორც ღმრთისგან სიბრძნით დაჯილდოებული მეფე და მართლმსაჯული, დავით აღმაშენებლის ყოველი ნაბიჯი ხომ სიბრძნითაა აღბეჭდილი!

ქებაში ნათქვამია, რომ დავითი არის შურის-მაძიებელი (შურისმგებელი), ვითარცა ოსია შარავანდედა შორის. ოსიას ზეობისას დაწყებულ იერუსალიმის ტაძრის შეკეთება. აქ უპოვიათ კანონების გრაგნილი. რომელიც მოსე წინასწარმეტყველს ჰქონდა ბოძებული ღვთისაგან. ოსიამ ამის შესახებ რომ შეიტყო, აღთქმა დადო, მუდამ უფლის კვალზე ივლიდა და ყურად იღებდა მის ყოველ ბრძანებას. გაყარა ქურუმები, რომლებიც მსხვერპლს წირავდნენ გორაკებზე და უმკაცრესი წესრიგი დაამყარა. დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის კრება მიზანდასახულობით ნათესაურია ოსია მეფის სულისკვეთებისა, აღკვეთოს უნესობა მსახურებაში, დაიცვას ღვთის სიტყვა და კანონი.

შემდეგ ვკითხულობთ: დავითი უზაროა, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის (ძეგლისწერა, 1978, 194). აღექსანდრე მაკედონელმა მეხთამტყორცნელმა მეფემ, შექმნა იმპერია, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ახალ კულტურულ ერას დაუდო საფუძველი. დავით აღმაშენებელმა ისეთივე უზარომ, უშიშარმა მეფემ ჯერ აღადგინა ქართველთა უფლებები საკუთარ მინა-წყალზე, მერე კი გააფართოვა მისი საზღვრები და მეფობის მეოცე წლისთავზე შექმნა კავკასიელ ხალხთა ერთიანი სახელმწიფო. არსენ ბერი დავითს ავეუსტუს ოქტავიანესაც ადარებს, რომლის დროს დამთავრებულა სამოქალაქო ომები რომში და სენატს მისთვის ავეუსტუსის (ღმრთისგან აღზევებულის) ტიტული მიუნიჭებია.

შემდეგ ავტორი ამბობს, რომ დავითი კაცთმოყვარეა. ვითარცა თავად იესუ ღმერთთა შორის, ის ბუნებით ღმერთთა მადლით ღმერთქმულთა შორის, მწურვალეა, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის, საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის, მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა კონსტანტინე თვთმპყრობელთა შორის, სიმტიციე კეთილდამსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრისმპყრობელთა შორის (2; 194). ამ სახელთა მონობით არსენ ბერმა ქართველი მეფის სახეს ელვარება შეჰმატა.


ქებაში დავითის მოღვაწეობის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი წახნაგი არ არის აქცენტირებული: დავით აღმაშენებლის ღვწა მნიგნობრობის განვითარებისა და ქვეყნის კულტურული აღორძინებისთვის. მაგრამ ჯერ 1105 წელია. ამ დროისთვის ჯერ არ არის დაწყებული გელათის მშენებლობა და აკადემიის დაფუძნება, არც ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესის ინსტიტუტია შექმნილი, არ აუგიათ სახლი მაჰმადიან მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტთა ინტელექტუალურ ასპარეზობისათვის სატახტო ქალაქში... დადგება დრო და დავით აღმაშენებლის მემკვიდრე იტყვის: ხოლო ისმენდი, თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა – რა პოვა შიში უფლისა, ღმერთადც-საღმრთო წერილნი, და ესენი მდიდრად შეკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებად ენისა ქართველთასა სხუათა ენათაგან, ძველნი და ახალნი, ვითარცა პტოლემეოს II (10:347). მემკვიდრე მეთაფორულად გამოხატა ჩვენში ახალი ფამის

დადგომა: ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან (10: 323). რუის-ურბნისის ძეგლისწერაში, ვფიქრობ პირველად გაისმა ასე დამაჯერებლად ქართველთა იდენტობის გამომხატველი ცნება – საქართველო: პირველნოდებული ანდრია... ქადაგა საცხოვრებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსა (2: 179). ქართლის კატალიკოსი იოანე კი, ძეგლისწერის თანახმად, არის ღირსი მთავარეპისკოპოსი – კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამამთავარი.

დავით მეფისადმი მიძღვნილი ქების დასასრული ამთავრებს ძეგლისწერის მთლიან ტექსტსაც. არსენი მეფეს უძღვნის ნაზორეველთა მიერ გამზადებულ ძღვენს – საეკლესიო განჩინებას, რათა ქვეყნის მბრძანებელმა წარუდგინოს უფალს, ვინც წყალობას არ მოაკლებს მის წინაშე მლოცველთ. ნაზორეველებში არსენი იმათ გულისხმობს, ვინც მღვდელშუენიერთა მეოხებითა შეესაკუთრებოდის დამბადებელს. სხუასა სულთქუმანი მოაქუნდენ, სხუასა – განდობად ცრემლთა, სხუასა – ღამეყოველობითნი, მღვიძარებანი, სხუასა – ჯმელსარეცელობად, სხუასა – რაითურთ ქონება კეისრისა – ყოველსავე, ღმრთისასა – მხოლოდ ჯორცთა ოდენ და მათცა მარხვითა განლელულთა სხუასა სიტყუად დაღათუ მდაბალი და უნდოა, გარნა არავე უერმოა, არცა უმუსიკელოა მიმზიდველ ყოფად სმენისა (2: 195).

დავით აღმაშენებლის მიერ შეკავშირებულ-გამთლიანებული ქართველობა უკუნიითი უკუნისამდე განადიდებს თავის უპირველეს მეფეს.

ლაურა გრიგოლაშვილი
ქართული აღმანახი
№1 2016



წმინდანები ამბროსი ხელაია და ქმები კარბელაშვილები

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა თბილისში დაარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

1908 წელს საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე რეფერატები წაიკითხეს პოლიევქტოს კარბელაშვილმა (ამილახვრიანთ გვარის სიგელ-გურჯები), ამბროსი ხელაიამ (ქართლის მოქცევის ახალი ჭელიშის ვარიანტი) და ექვთიმე თაყაიშვილმა (ბანის ეკლესიის შესახებ).

1912 წლის 5 მარტის საზოგადოების კრება ჩატარდა ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ საზოგადოების წევრები: პეტრე მირიანაშვილი, მღვდ. კალისტრატე ცინცაძე, დავ. კარიჭაშვილი, მღვდ. პოლიევქტოს კარბელაშვილი, დეკანოზი ნ. ბალაკვაძე, მღვდ. ვასილ კარბელაშვილი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და გარეშე მსმენელნი.

საზოგადოებამ მოისმინა არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია) მოხსენება **ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა**, რომელიც შეიცავს საინტერესო ცნობას ქრონიკის ავტორის შესახებ. იგი ამბობს, – **ქართლის მოქცევა** შეადგინა გიორგი დიაკვანმა. ვარიანტში მოცემულია ცნობა ვარაზბაკურის დროის შესახებ: ვარიანტი სწორედ ამ მეფეს მიაწერს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აშენებას. მომხსენებლის აზრით, ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ადასტურებს, რომ წმინდა გიორგის ქართველები მე-4 საუკუნეში მიაგებდნენ პატივს. – როგორ აიხსნება ეს ფაქტი, თუ არა იმით, რომ წმინდა გიორგი კაბადოკიელი ქართველი უნდა ყოფილიყო, ან ქართველთ-განმანათლებლის მონათესავე?! საგულისხმოა რომ ქართველებს წმინდა გიორგის სახელობის 300-ზე მეტი ტაძარი აქვთ აგებული. მომხსენებლის აზრით, ქრონიკის ჭელიშის ვარიანტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საისტორიო მეცნიერებისთვის.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი: საყურადღე-



წმინდა ამბროსი ხელაია

ბოდ მიმაჩნია მამა ამბროსის აზრი წმინდა გიორგის ქართველობის შესახებ. ეს მოსაზრება გვხვდება როგორც მწერლობაში, ასევე ჩვენი მითულების რწმენათქმულებაში. მაგალითად, სვანეთში დღემდე ცნობილია **ვიბლიანების** საგვარეულო, რომელსაც დაცული აქვს ილორის ხატის პირი და ყველა სვანი დიდი მონივნით და პატივისცემით ეპყრობა: **გადმოცემის თანახმად, თითქოს ვიბლიანები ჭანეთიდან (კაბადოკიის მეზობლად) იყვნენ მოსული, თავდაპირველად ილორში, შემდეგ სვანეთში დასახლდნენ. წმინდა გიორგის ის ხატი, რომელიც დღეს ილორში ასვენია, ამ საგვარეულომ თან მოიტანა თავისი ძველი სამშობლოდან. ვიბლიანებს სჯერათ, რომ**

წმინდა გიორგი მათი წინაპრების ნათესავი იყო.

1921-1927 წლებში ამბროსი, ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია, 1861-1927 წლებში იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

მან 1885 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1887-1896 წლებში მოღვაწეობდა სოჭში, შემდეგ სოხუმში. გახლდათ სოხუმის, ახალი ათონის და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლის ზედამხედველი. 1897 წელს შევიდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში. 1900 წელს ბერად აღიკვეცა. 1900 წელს დაინიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად. 1904 წელს გადაიყვანეს თბილისში სინოდის კანტორის წევრად.

1921 წლიდან ის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია. 1922 წლის თებერვალში ამბროსიმ გენუის საერთაშორისო კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი, სადაც ქართველების სახელით მოითხოვა საქართველოდან რუსეთის წითელი ჯარის გაყვანა და რეფერენდუმის გამოცხადება, იგი დააპატიმრეს. 1926 წელს გაათავისუფლეს და აღადგინეს კათალიკოსად, მაგრამ მალე გარდაიცვალა. დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში.

1995 წელს ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და ამბროსი აღმსარებელი უწოდა.

ანდრე კარბელაშვილი

ბრაგელაია ბირიფონის ველზე

როგორც ცნობილია, 1922-1924 წლებში საქართველოში უღმერთო ხელისუფლების წინააღმდეგ მომხდარ წარუმატებელ აჯანყებებს მოჰყვა მასობრივი რეპრესიები. ერთ-ერთი მაგალითი იყო გორის მახრის სოფელი ქვემო ჭალა.


1924 წლის სექტემბერში სოფელ ქვემო ჭალაში შეიარაღებულმა რაზმმა დააკავა **მესხიშვილები, ქარუმიძეები, ჭელიძეები, ზაალიშვილები, პარკაძეები და სხვ.** დაკავებულებს განუცხადეს, რომ გორში უნდა

წაეყვანათ გასასამართლებლად.

ეს ამბავი შეიტყვეს ამ სოფელში მცხოვრებმა მღვდელმა ანდრიამ და მისმა უმცროსმა ძმამ, პეტრე კარბელაშვილმა. მაშინვე შეიარაღებულ რაზმთან მივიდნენ, რომლებსაც ალყა შემორტყმული ჰყავდათ დაპატიმრებულები.

– თუ ეს პატიოსანი ადამიანები გორში უნდა გასასამართლოთ, მეც წამოვალ! – უთხრა ანდრიამ რაზმის უფროსს.

– რამდენი წლისა ხარ? ჰა.



წმინდანები ანდრია და პეტრე კარბელაშვილები

- 73 წლის. ამას რა მნიშვნელობა აქვს.
 - გორამდე ვერ იჩანაწალებ.
 - მეც ძმას გამოვყვები, - ჩაერია საუბარში პეტრე, რომელიც 64 წლის იყო.
 - რაც გინდათ, ის ქენით ბებრებო, მხოლოდ პატიმრებთან ახლოს არ მოგიშვებთ, კონდახით თავებს გაგიტყვავთ!..
- შეიარაღებულები სოფლიდან დაიძრნენ. პატიმრებს უკან მიჰყვინენ ანდრია და პეტრე.
- მდინარე ლეხურაზე გადავიდნენ.
- ძმებმა მარჯვნივ თავიანთ ბალ-ვენახს გადახედეს.
- აღმართს აუყვნენ. სოფელს თვალი რამდენჯერმე შეავლეს.

ანდრიამ შორს აღმართულ ცხვილის ციხეს ახედა. გაიხსენა, 13 წლის ასაკში თავის პატარა ძმებთან ვასილ და პოლიეფქტოსთან ერთად ციხის ძირში ხალხური სიმღერები რომ იმღერა: **შავლეგო, თამარ მეფე, ყურშაო, ზამთარი, ესო მესო.**

წინ კი უკვე ტირიფონის ველი გამოჩნდა, საიდანაც გორისაკენ მიმავალ გზაზე უნდა გადასულიყვნენ.

არ დააცალა ეს შეიარაღებულმა რაზმმა არავის.

ყველანი დახვრიტეს!..

სისხლით მოიწწა ერთი ადგილი...

ამ ადგილზე დღეს დადგმულია მარმარილოს დაფა წარწერით: **აქ აღიმართება 1924 წელს საქართველოს თავისუფლების მსხვერპლად შეწირულთა მემორიალი.**

სანამ ანდრია და პეტრე კარბელაშვილებს 1924 წელს ტირიფონის ველზე დახვრეტდნენ, 1923 წლის 2 მაისს ანდრიას და პეტრეს ძმამ ვასილმა წერილი გაუგზავნა იოსებ სტალინს.

- რა ურთიერთობა ჰქონდა ვასილ კარბელაშვილს იოსებ სტალინთან?

1894-1899 წლებში, როდესაც იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ქართულ გალობას ასწავლიდა, იოსებ სტალინი (ჯუღლაშვილი) ამ სემინარიის მოსწავლე იყო და ვასილ კარბელაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ სემინარიულ მგალობელთა გუნდში გალობდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს დაახლოვდა მოსწავლე-მასწავლებელი,

აი, რას წერდა ყოფილი მასწავლებელი გენერალურ მდივას:

დიდად პატივცემულო (ბატონო) სოსო!
 გაგიკვირდება ძველის მასწავლებლის მოგონება და ასეთი გრძელი წერილი, რომელმაც უნდა მოგაგონის რაც იყო, ჩაგაფიქროს რაც არის და გაითვალისწინო რაც იქნება! მოიგონე, სულ ბოლოს რომ შეგხვდი არც უნისეული ქარვასლის აივანში სემინარიიდან რომ გახვდი და მგონი დარწმუნდი, მე მართალი ვიყავი და ვარ, ვგონებ, მომავალშიც.

ეს გითხარი და გეტყვი: ვაი იმ ხალხს, რომელიც ისტორიას ანგარიშს არ უწევს, განათლებასა და შეგნებას გაუბრუნებს. ქრისტეს მოძღვრებასაც ანგარიშს არ უწევს. ყველაზე უკეთესი გადატრიალება და ნაყოფიერი მოხდა ინგლისში 1850 წელს ქრისტიანი სოციალისტების (5 და 15 კაცი) მეოხებით, იმიტომ რომ რელიგიულ მოთხოვნებს

ანგარიში გაუწიეს და იმით შეაჩერეს ნაძირალების აღზევება. 1848 წელს თუ საფრანგეთმა რევოლუცია წააგო, სწორედ ეს ელემენტი აკლდა და ანგარიში არ გაუწია. ეს არის ჩემი ღრმა რწმენა, დაფუძნებული ურყევ დასკვნაზე და ცხოვრებას სკოლა აქვს, იმასაც ანგარიშის განევა უნდა. ახლა დავინყოთ ჩვენს უბედურებაზე, ჩინგიზ ხანის და ოსმალ-შაჰ ნადირების ბარბაროსობა სანატრელი გაუხდა ქართველებს.

სამეგრელოში ზარის ხმა ისმის, დაჰკეტეს ეკლესიები, მღვდლებს ჰკრეჭენ, ხელ-ფეხ შეკრულელებს აპატიმრებენ. მღვდლებს დასაჭერად დასდევენ, ძალით იჭერენ, ვინც გაუსხლტათ, იმათ დასაჭერად დასდევენ, ხალხში ათასნაირი უსამართლო ჭორი ვრცელდება. ნუთუ ასეთი ამბები სასარგებლო და ხელსაყრელია მთავრობისთვის?! სამთავისის X-XI ს.ს. სვეტიცხოველს და სხვა დიდ ტაძრებს უპირებენ თეატრად გადააქციონ. აღდგომა ღამეს ძალით დაკეტეს და ლიტანია მოუსპეს. დიდ ძალმომრეობას მიმართავენ ეკლესიებზე, მღვდლებზე ხალხის ნების წინააღმდეგ, რაც ხალხში ჩუმ უკმაყოფილებას იწვევს და ვრცელდება ბოროტება.

ზოგიერთ ადგილებში მორწმუნე ერმა მიმართა იარაღს ასეთი ძალადობის წინააღმდეგ ეკლესიასა და სამღვდელოებაზე, როგორც სოფელ მუხრანში, ასევე სხვაგან...

ბევრი რამ არის მოსაწერი, მაგრამ აღშფოთებული მდგომარეობა ნებას არ მაძლევს, ყველაფერი დანვრილებით მოგწერო, რითაც მეშინის შენი ყურადღება და ისედაც დატვირთული აუარებელი საქმეებით, არ დაგლალო.

სოსო! როგორი რწმენისაც გინდა იყო, მაინც ქართველი კაცი ხარ, საქართველოს მიწამ გაგზარდა, სამშობლოსა და ერის სიყვარულს ვერარა დაშრეტს შენს გულში! კიდევ გთხოვ, ეკლესიებისა და სარწმუნოების დევნას თავი ანებონ და ღმობიერება გამოიჩინონ.

- რას აძლევს ერს, როდესაც უგინებთ სჯულს, სინმინდეს, სიფაქიზს და უსპობთ დიდებულ კულტურას, რითაც შექძლო ქართველ ერს თავი მოეწონებინა კაცობრიობის წინაშე?!

ბევრის მნახველს, მომთმენს და ცრემლის შემაშრობელს, იმედია, ყურად იღებ, მოალობო ჩემს გულს და კარგ რამეს სანუგეშოს მომწერ, რომ აღარ განმეორდება და ანუგეშებ შენს მოხუცებულ მასწავლებელს, რომელსაც ბევრად შესტიკვა შენზე გული, პასუხს ველი.

1923 წლის 2 მაისი, თბილისი.

ბუნებრივია, ამ წერილის გაგზავნის შემდეგ ასეთი განაჩენი ელოდათ ანდრიას და პეტრეს ტირიფონის ველზე. ისინი დაკავებულებთან ერთად დახვრიტეს.

1925 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ლოცვა-კურთხევით ვასილ კარბელაშვილი ბოდბეს ეპისკოპოსად დაადგინეს. სამი წლის შემდეგ 1928 წლის 24 მარტს გახდა ალავერდის ეპისკოპოსი.

ვასილ კარბელაშვილი გარდაიცვალა 1936 წელს. დასაფლავებულია ნავთლულის წმინდა ბარბარეს ეკლესიის გალავანში.

ანდრე კარბელაშვილი

...შურსა და სილზე ავალღეხული...

„ებრა არ არი, თაყაო“

ახლახან თბილისიდან შემატყობინეს, ჯემალ ბუღალავას ოჯახი ქუჩაში გამოუყრიათ...

...საუკუნის დასაწყისში, ილიას „კანონის სახელით“ გადაუდგნენ წინამურთან, ბახვში დადგენილი განაჩენით გულგამაგრებული არაკაცები.

– რას სჩადით, უგუნურნო! – ილია ვარ! – შესძახა თურმე გაოცებულმა.

– ილია რომ ხარ, იმად უნდა მოკვდეო! – ჩაისისინეს ბერბიჭაშვილებმა და შუბლზე ბერდენკა დაახალეს ერის მამას...

...ესეც მკვლელობაა, საუკუნის მინურულს, „კანონის სახელით“ რომ სჩადიან კომკავშირულ-პროჟექტორული კადრები...

– მეტისმეტად მკაცრი შეფასებააო, – იტყვიან მავანნი. ალბათ მკაცრია, მაგრამ სამართლიანი.

ერთი წუთით თვალი დახუჭოს ბედის ნებიერმა მინისტრმა, პატივცემულმა ქალბატონმა სესილი გოგიბერიძემ და წარმოიდგინოს ღვთის ანაბარად, უმიზეზოდ ქუჩაში გამოყრილი თავისი ოჯახი...

...თუ კარგად წარმოიდგენს, დარწმუნებული ვარ, თავის მართლებასა და მუშტის ღერებას კი არ დაინყებს, სინანულს მიეცემა, რადგან „ალარ უწყოდა, რას იქმოდა“...

ეტყობა, ფუნქციონირებადი კულტურის სამინისტრო კვლავ ძველი, ნაცადი მეთოდებით ცდილობს თავი შეახსენოს საზოგადოებას. რაკი ჯემალი უცხოეთში დაიგულეს, იოლად წამოავლეს ხელი მის ოჯახს, მაგრამ „ეგრე არ არი, თაყაო“...

დღეს, როცა საქართველოს მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ერთი მუჭა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ საკუთრებაში „დაკანონდა“, ოცი წლის წინ საუნყებო ბინაში შესახლებული ოჯახების „კანონის სახელით“ ქუჩაში გამოყრა, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.


„ცეკა-ტეკას“ ოაზისებში გამოზრდილ კადრებთან დავა ამოა, ამიტომ ჯემალის კოლეგებს მივმართავ, – მხატვრებს, რომელთაც გამოჩენილი მწერლისა და მამულიშვილის ლევან გოთუას ერთ შეგონებას შევასხენებ – „ვარამბედობის ჟამს თავიანთი მარნებიდან ნუ გახედავთ საერთო საქმეს, თორემ ყველას წაგიმწარდებათ ზედაშე“...

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კულტურის „სამინისტროს აქლემი“ თქვენს კარებთანაც დაიჩოქებს...

ტრაგედია სუალტოზა

1969 წლის 8 ივლისია. წუხელ ბ-ნმა ლევანმა დამირეკა, ატეა ჩამოსული ოჯახით, ხვალ არმაზში მივდივართ და ადრე მოდიო (ატე ნემსინვერიძე – გამოჩენილი მთამსვლელი, ლევან გოთუას თოკის მენეჯერი).

ბინიდან ალიონზე გამოვედი, ვარაზისხევით გმირთა მიედნისკენ დავეშვი. ზოოპარკის შესასვლელთან, გაჩერებაზე ტროლეიბუსში ავედი. ტროლეიბუსი გმირთა მოედანს გარს უვლიდა და ცირკის გავლით სადგურისკენ მიდიოდა. ჩელუსკინელების ხიდს გავცდი. კართან მამაკა-



ჯემალ ბუღალავა

ცი იჯდა, გაზეთს კითხულობდა (მაშინ გაზეთები ქსელში ადრე ვრცელდებოდა). ერთბაშად თვალში მომხვდა მიხეილ ხერგიანის ფოტო. ცუდად მენიშნა. ბოდიში, ერთი წუთით გაზეთი მათხოვეთ-მეთქი. ეტყობა, ისეთი შემფოთებული სახე მქონდა, გაზეთს ხელი უშვა და მძლოლის კაბინისკენ გავარდა. გაზეთი ხელთ შემერჩა. თავზარდამცემი ამბავი წავიკითხე.

„მიხეილ ხერგიანის დალუპვის გამო

იტალიაში მთამსვლელთა საერთაშორისო შეკრებისას ა. ნ. 4 ივლისს, დოლომიტის ალპების ერთ-ერთი მწვერვალის იერიშის დროს დაიღუპა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი მთამსვლელობასა და კლდეზე ცოცვაში, საერთაშორისო სპორტის ოსტატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ბესარიონის ძე ხერგიანი.

შეიქმნა მ. ხერგიანის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. სიხარულიძე (თავმჯდომარე), გ. გოშაძე, ვ. ბალავაძე, ა. ჩარკვიანი, ო. გიგინეიშვილი, ვ. ჟღენტი, გ. გაჩეჩილაძე“.

ქუჩაში ძეხორციელი არავინაა. პლუხანოვის 115-კენ მივდივარ და ფეხები უკან მრჩება. ვფიქრობდი, როგორ მეთქვა ეს საზარელი ამბავი, თან ვგრძნობდი, არც უთქმელობა ივარგებდა.

კარები ბ-ნმა ლევანმა გამიღო. ბ-ნი ატეც იქვე იჯდა. შესანიშნავ განწყობაზე იყვნენ. არმაზში გამგზავრების თადარიგზე საუბრობდნენ.

– ბ-ნო ლევან! მიხეილ ხერგიანი დალუპულა და გაზეთი გავუნოდე. შემფოთდნენ.

– რაღაც ამბავია, მიშას ტექნიკური წუნი შეუძლებე-



ლია მოსვლოდა, – თქვა ატემ, მართლაც, სუალტოზე ას-
ვლისას მიმა ქვათაცვენაში მოყოლილა (მისი მეწყვილე –
ონიშენკო სამაშველო ჯგუფს აუყვანია).

მრავალჭირნახული მთამსვლელები მოგონებებში ჩაი-
ძირნენ...

ცხადია, იმ დღეს არმაზში ნასვლა გადაიდო.

სამახსოვრო ავტობრაფი

„ჩემს შიოს, „გმირთა ვარამის“ დაწერის მომსწრესა
და მონაწილეს. თვითონაც გმირთა ვარამის კაცს. პატი-
ვისცემით – ლევან გოთუა“. ასეთი წარწერა ჰქონდა ამ
ბრწყინვალე რომანის სასიგნალო ეგზემპლარს, რომელიც
ჩემმა უფროსმა მეგობარმა შოთა შავგულიძემ მიიღო
1958 წლის გაზაფხულზე.

ვამაყობ, რომ „გმირთა ვარამი“ სწორედ ამ სასიგნალო
ეგზემპლარიდან წავიკითხეთ მე და ჩემი ოჯახის წევრე-
ბმა. – ბრძანა წყალტუბოს მერიის მთავარმა მრჩეველმა
გურამ სოფრომაძემ. მისი გავლენა ისე დიდი იყო, რომ
რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის ზაზა კახნიაურის
სახელი ჩვენს პირველ შვილს დავარქვით.

(სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ბ-ნი გურამის უფროსი
შვილი ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ბრძანდება. არს-
თა გამრიგემ თუ მადროვა, ბ-ნი გურამისადმი უდიდესი
პატივისცემის ნიშნად, ლევან გოთუასადმი მიძღვნილ ამ
ნიგნს მის ორივე შვილს, ბ-ნებს ზაზას და პაატას გავუფ-
ზავნი. ჯ. ჯიშკარიანი).

– ბატონი ლევანი – მიაბზო მაშინ შოთა შავგულიძემ,
ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში გავიცანი, სადაც
იგი არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის
გახლდათ გადასახლებული. იმ დროს იგი უკვე თვალსა-
ჩინო მწერალი იყო, გამოქვეყნებული ჰქონდა „კრწანისის
სევდა“, „უგზო ქარავანი“, მისი პიესები რესპუბლიკის თე-

ატრებში იდგებოდა. ცნობილი იყო მისი თავისუფალი,
ანტიიმპერიული მოღვაწეობაც. გადასახლებაში ბატონ
ლევანს, ცხადია, წერა აკრძალული ჰქონდა, მაგრამ მე
და ჩემი მეგობრები შეძლებისდაგვარად შემოქმედებითი
შრომის პირობებს ვუქმნიდით. სწორედ მაშინ ინერებოდა
ქართული პროზის ეს შესანიშნავი ნიმუში...

ეტყობა, ბატონი ლევანი დიდად აფასებდა ბანაკელი
მეგობრების თანადგომას. ამის დასტურია გულთბილი ავ-
ტოგრაფით დამშვენებული ნიგნი, რომელიც ბატონი შო-
თას მდიდარი ბიბლიოთეკის განძს წარმოადგენს.

თვითონაც საინტერესო ბიოგრაფია აქვს მრავალჭირ-
გადატანილ შოთა შავგულიძეს. იგი ომამდელი ქუთაისის
ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელია. ახალ-
გაზრდობაში ლიტერატურითა და სპორტით ყოფილა
გატაცებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსიდან ფი-
ნეთთან ომში გაინვიეს, შემდეგ გერმანელების წინააღმ-
დეგ იბრძოდა. ომის პირველსავე თვეში ტყვედ ჩავარდა.
ბატონი შოთა კაპიტან ნიკლაურის ჯგუფის წევრი იყო.
კაპიტანი ნიკლაური გერმანელებმა დახვრიტეს, შოთა
კი სიკვდილს გადაურჩა, თუმცა რამოდენიმე დღე სიკვ-
დილმისჯილთა საკანში გაატარა. ომის დამთავრების შემ-
დეგ ისევ პატიმრობა, რუსთავის კოლონია, გადასახლება
ვორკუტაში...

შოთა შავგულიძე შესაშური ენერჯისა და გაუტყეხ-
ელი ნებისყოფის კაცია. პატიმრობიდან განთავისუფლების
შემდეგ დაასრულა ისტორიის ფაკულტეტი. ტყვეობაში კი
გერმანული ენა ისე შეისწავლა, რომ განათლების სამი-
ნისტროს სპეციალურმა საატესტაციო კომისიამ ამ ენის
მასწავლებლის კვალიფიკაცია მიანიჭა, ხოლო შემდეგ
წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგო-
გიკაში.

ერთხანს ქუთაისში ცხოვრებაც აუკრძალეს. ამიტომ
ხარაგაულის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლე-
ბლობდა, სადაც მშვენიერი ოჯახი შექმნა. შემდეგ პედა-
გოგიური მოღვაწეობა ქუთაისთან ახლოს – გუმათის სკო-
ლა-ინტერნატში განაგრძო.

ბატონი შოთა დიდად ერუდირებული კაცი გახლავთ.
იგი კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს.
ზოგჯერ ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე წარმო-
თქვამს ნაწყვეტებს გოეთეს „ფაუსტიდან“. სწორედ ამი-
ტომ, ვორკუტაში მისი დაახლოება გამოჩენილ მწერალ-
თან ლევან გოთუასთან სრულიად ბუნებრივად მეჩვენება.

პირადად მე მადლობელი ვარ ბატონი შოთასი, რო-
მელმაც სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად პირველმა მაზი-
რა შესანიშნავი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღ-
ვანის ლევან გოთუას უკვდავ შემოქმედებას.

გურამ სოფრომაძე

ქ. წყალტუბოს მერიის მთავარი მრჩეველი

* * *

იმ დღეს წყალტუბოდან გუმათში სამნი გავემგზავრეთ
– ბატონები ოტია იოსელიანი, გურამ სოფრომაძე და ამ
სტრიქონების ავტორი. უნდა გვენახა მრავალჭირგამო-
ვლილი ადამიანი, ყოფილი ვორკუტლაგელი, საქართვე-
ლოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების
მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის ქუთაისის საზო-
გადოება „მემორიალის“ გამგეობის თავმჯდომარე, ბატო-
ნი შოთა შავგულიძე.

გუმათში რომ მივედით, ბატონი შოთა მაგიდას უჯდა ქალაღდებსა და ნიგნებში ჩაფლული; მოგონებებს ანეს-რიგებდა. სიხარულით ჩაიკრა გულში გურამ სოფრომაძე, რომელიც თურმე ორი ათეული წელია არ ენახა.

– მაღლი უფალს, რომ ჩემს ღარიბულ ჭერქვეშ თქვე-ნისთანა სახელოვანი მწერალი შემობრძანდა“ – გულთბი-ლად მიესალმა იგი ბატონ ოტიას.

– ჩემი სტუმრობის მიზანიც გავაცანი. ვთხოვე – ლე-ვან გოთუაზე და რუსთავეში პოლიტიკატიმართა აჯანყება-ზე მოეთხრო.

– ჩემო ჯუმბერ, შენთვის სასურველ დროს მოდი შენი პანასონიკით. ოციოდე კასეტა წამოიღე და ჩავიკეტოთ. არამარტო ვორკუტაზე, დეტალურად გიამბობ რუსთავის აჯანყებაზე, გერმანიის სხვადასხვა ბანაკში თავს გადამხ-დარ უბედურებებზე. ჩემი მეუღლე ჭადს, ყველს, ლობიოს და შინ დაწურულ ღვინოს არ მოგვაკლებს.

(ჩემდა სამწუხაროდ, ბატონი შოთას ამ დიდებული წი-ნადადებით ვერ ვისარგებლე, რასაც დღემდე განვიცდი).

„შორაქუტულად ბართმევი მარჯვენას“

ლევან გოთუას „ჩრდილოეთელი“ მეგობარი იგორ დო-ბროშტანი პირველად 1973 წლის მაისში გავიცანი. ბ-ნი ლევანის გარდაცვალება როგორც კი გაიგო, მაშინვე ჩა-მოვიდა.

ბ-ნმა სანდრომ დამირეკა, ლევანის მეგობარი იგორ დობროშტანი ჩამოვიდაო. დევი შენთან მოიყვანს, ბაზარ-ში გაივლით, ყვავილის ყიდვა უნდა, ჩვენ კი არმაზში წა-ვალთ და მის შესახვედრად მოვემზადებითო.

„დეზერტირების“ ბაზრის ზედა შესასვლელთან ყვა-ვილები იყიდებოდა. იგორმა ყველაზე დიდი და ლამაზი გვირგვინი შეიძინა.

არმაზში რომ მივედით, მანქანის ხმაზე ჩვენები გამო-ეფინენ და სტუმრის შესახვედრად წამოვიდნენ, მაგრამ იგორმა ხელი ასწია. ყველა ადგილზე გაირინდა.

იგორმა გვირგვინი საფლავის თავთან მოწინებით და-ასვენა, მუხლი მოიყარა და კარგა ხანს იყო გარინდული.

წამოდგა „ტეპერ მოჟნი“, ხელები გაშალა და გადაეხ-ვია ქალბატონებს ციცოს, თამარს, მზიას, ბ-ნ სანდროს. არმაზში გვიანობამდე დავრჩით.

ბატონი იგორი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში. ბუნებრივია, ყოველი ჩვენი შეხვედრისას საუბრის მთავა-რი თემა ბატონი ლევანის პიროვნება გახლდათ.

ერთხელ ბატონმა იგორმა გაფერმკრთალებული, მა-გრამ სასოებით შენახული სამი წერილი გადმომცა.

– ლევანის წერილებია! მინდა შენთან ინახებოდეს. ვიცი, გაუფრთხილდები, – მითხრა.

გთავაზობთ ერთ წერილს, რომელიც 1955 წლის 18 ოქტომბრითაა დათარიღებული, ვორკუტის ბანაკებში მოწყობილი აჯანყებიდან სამიოდე თვის შემდეგ... ვფი-ქრობ, იგი მკითხველისათვის საინტერესო იქნება.

„ძვირფასო იგორ!

აი სასწაული! ჭეშმარიტად სასიხარულო სასწაული!

თქვენი წერილი სამწუხაროდ მხოლოდ დღეს მივიღე, 18 ოქტომბერს. იგი კავშირში იდო – წასული გახლდით. ვჩქარობ – მოგწერთ.

უსაზღვროდ მიხარია თქვენი ბედნიერება... ეს ხომ ჩვენი საერთო ბედნიერებაა. როცა სიმართლე იმარჯვებს – ყველა კეთილ, პატიოსან ადამიანს უხარია! გენერალუ-

რი პროკურორის მოადგილემ სიტყვა შეასრულა. სახელი და დიდება მას. იგი ძალზე ადამიანურად მომექცა.

და საერთოდ, ჩვენი ცის კაბადონზე მზე თავის კუ-თვნილ ადგილს იკავებს. ჩემი გამომგზავრების წინ (თქ-ვენი მოულოდნელი წასვლის შემდეგ) გადმომცეს თქვენი ფოტოსურათი, რომელსაც სასოებით ვინახავ, როგორც ძვირფას სახსოვარს თქვენზე, კაცურ კაცზე.

მე თქვენი დიდი გულისა და დიდსულოვნების ცოცხა-ლი მონმე და თავყვანისმცემელი ვარ. ძალზე მიხარია, რომ ეს გული ახლა ლაღად ძგერს.

ასე რომ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

თქვენ ყველაფერი წინა გაქვთ.

როცა კაცს ასეთი ცხოვრებისეული გამოცდილება და ვაჟკაცობა, ნიჭი და კეთილი გული აქვს – ბევრის მიღწე-ვას შეძლებს. მეც მთელი გულით ამას გისურვებთ. მაშ ასე, ვორკუტაში ბრუნდებით. მე მესმის თქვენი, იქ ხომ საცოლე გყავთ. გიჩვენებიათ მისი ფოტოსურათი, ესეც თქვენს კაცობაზე მეტყველებს.

ჩემგანაც გადაეცით სალამი მეგობრებს. გიგზავნით შალვა ჩხეიძის მისამართს – საფოსტო ყუთი № 175–13, სერგო ლორთქიფანიძე მგონი მეორე თბოელექტროცენ-ტრალშია, ქარდავაც სადღაც გადაიყვანეს. ისინი ყველა-ნი დაფანტეს და დაანანილეს. მაგრამ ახლა, ამნისტიის შემდეგ ბევრი მათგანი ოჯახს დაუბრუნდება. მე კარგად ვარ, ცოტა გული მანუხებს. ვცდილობ ალვადგინო ადრინ-დელი ნაწერები. ვწერ ახალს. ისე ყველაფერი რიგზეა. თუ ოდესმე თბილისში იქნებით – აუცილებლად მობრძანდით ჩემთან. ჩემი მისამართია:

თბილისი, ენგელსის 56.

ლევან პართენის ძე გოთუა.

გულითადად, მეგობრულად, ვორკუტულად, ვაჟკაცუ-რად გართმევთ მარჯვენას.

თქვენი ლევან გოთუა.

უკანასკნელი დღეები...

წუხელ ბატონი ლევანი გარდაიცვალა!

დილაადრიან ოჯახის ახლო ნათესავმა, მოქანდაკემ, სამხატვრო აკადემიის პროფესორმა თემურ ჭყონიამ ბ-ნ ლევანს ნილაბი აულო.

– ბ-ნო თემურ, თუ შეიძლება, ჩემთვისაც ჩამოასხით-მეთქი, – ვთხოვე.

ბ-მა თემურმა ღიმილით შემომხედა, მაგრამ არაფე-რი მითხრა. ორმოცზე შევხვდით ერთმანეთს, კვლავ არა-ფერი უთქვამს. წლისთავამდე რამდენჯერმე შევხვდით. ბოლოს ვერ მოვითმინე და შევასხენე, – ნილაბს როდის მომცემთ-მეთქი?

– ჩემო ჯუმბერ, რა პრობლემაა, ნილაბის ჩამოსხმას 10 წუთი უნდა, მაგრამ ვიცი შენი დამოკიდებულება ბ-ნი ლევანისადმი, შენ ამ ნილაბს კედელზე ჩამოკიდებ. ყო-ველდღე ამ ნილაბს ყურება გაგანამებს.

ჩვენ, მოქანდაკეები, როგორც ქირურგები, ისე ვუდგე-ბით ამ საქმეს. უმჯობესია, ბ-ნი ლევანის სახე ცოცხლად გახსოვდეს!

– გმადლობთ, ბ-ნო თემურ!

ბატონი ლევანის ხატება დღემდე ცოცხლად მახსოვს.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

კიდევ ერთი დაუპიწყარი დღე

128-ე საჯარო სკოლის VI² კლასის საკლასო ოთახში ტევა არ იყო. ქართველი ერის სასიქადულო მწერლის ლევან გოთუასადმი მიძღვნილ ღია გაკვეთილს არატებდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მზია ჯიშკარიანი-კინმარიშვილი.

ლევან გოთუას ცხოვრების გამორჩეულ ეპიზოდებს იხსენებდნენ მოსწავლეები. მასწავლებლის ყველა შეკითხვაზე ხელების ტყე იყო აღმართული. გაისხენეს მწერლის საფლავზე, სამთავრის წმინდა მიწაზე, ჩატარებულ გაკვეთილები.

გაკვეთილს უფრო საინტერესოს ხდიდა მოსწავლეების მიერ მწერლისადმი მიძღვნილი ფოტოები და აუდიო

ჩანაწერები. ისინი მხოლოდ პროგრამული მასალით არ შემოიფარგლნენ.

გაკვეთილზე მონვეულნი იყვნენ მწერლის ქალიშვილი ლელა გოთუა, ძმისშვილი პროფესორი მაია გოთუა, მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი, ჟურნალ გურიაREGION რედაქტორ-გამომცემელი ლელა სურმავა. VI² კლასის მშობლები და ყოფილი მოსწავლეები.

დასასრულს, მოზარდებს მადლობა გადაუხადეს მათი ცოდნით და მონდომებით აღფრთოვანებულმა სტუმრებმა.

ეს დღე და ქართველი ერის საყვარელი მწერალი ბავშვებს არასდროს დაავიწყდებათ.

გმადლობთ მზია მასწავლებელო!

ლუიზა ბოჩკოვა-ხეჩია



უიქრები საქართველოზე

არადანი შენ, - არჩევანი მე!

ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი გმირის არ იყოს, კაცს რომ შუბლის ძარღვი გაუნყდებდა, შემდეგ იოლად ცხოვრობს ამ ცოდვილ მინაზე...

როდესაც ხელისუფლებას საკუთარი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა აღარ აქვს, იგი ყველაფერზე წავა, ყველაფერს ჩაიდენს, რადგან ამ ქვეყნად არავისი და არაფრის არ ეშინია!

ასეთი ხელისუფლების დევიზია, - **კანონი - ეს მე ვარ!**

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ბევრი რამ გამოავლინა; ბევრმა წარსულში ჩადენილი ცოდვების მონანიება სცადა და ხალხის გვერდით დადგა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხმა დიდსულოვნად შეუწოდო... ბევრმა კი საბოლოოდ ჩამოიგლიჯა გამჭვირვალე საბურველი, სანახევროდ რომ უფარავდა უტიფარ სახეს...

მთავრობასთან ჩახუტებული **ოპოზიციონერი** სარიშვილი უკმაყოფილოა, ხელისუფლება ოპოზიციის მიტინგებს ძალისმიერი მეთოდებით რომ არ არბევს (!) მას არ აკამყოფილებს ზუგდიდში დაღვრილი სისხლი...

- **მე არც ამ პარლამენტის წევრობა მინდოდა და არც ამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, რომელიც ოპოზიციას პასუხს არ აგებინებსო**, - იბუტება ფურთხილოკიანთა დედამთავარი...

გამაოგნებელია ქვეყნის პირველი პირის, ედუარდ შევარდნაძის განცხადება, - **არჩევნებს ჩემთვის მესამე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვსო!!!**

ისე უნდა ითქვას, - **ასეთი სიმართლე პრეზიდენტ შევარდნაძეს ჯერ არ უთქვამს!**

მისთვის არჩევნებს მართლაც არასდროს ჰქონია არსებითი მნიშვნელობა!

1992 წლიდან, ამოა იყო ამომრჩეველთა, პარტიების, ადგილობრივი თუ უცხოელი დამკვირვებლების მცდელობა, - არჩევნები კანონის სრული დაცვით, სამართლიანად ჩატარებულიყო.

მის ხელისუფლებას ზედმინენით აქვს ათვისებული არჩევნების ტოტალური გაყალბების ტექნოლოგია; - **მთავარი ის კი არაა, ვის აძლევნ ხმას; მთავარია, ხმებს ვინ ითვლის!**

ამჯერად, კოკა წყალზე გატყდა!

ეტყობა ხელისუფლებამ ძალიან შეტოპა!


უსაზღვროა ამომრჩეველთა უკმაყოფილება! აღშფოთებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა! უშიშრად, მოურიდებლად ამხელენ ხელისუფლებას არჩევნების შედეგების გაყალბებაში.

საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ უკვე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა!

ამერიკის, ინგლისის, გერმანიის პრესაში უამრავი მამხილებელი მასალა იბეჭდება, **ვაშინგტონ პოსტმა, ნიუ-იორკ თაიმსმა** დაგმო არჩევნების გაყალბება. უცხოელი დამკვირვებლები კომპრომატებით სავსე საქალაქდებო ბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში. მათი დასკვნები მალე შესაბამის გამოცემებში აისახება!..

მიუხედავად ამისა, ბატონი პრეზიდენტი მშვიდადაა.

- **მე არჩევნების შედეგებით კმაყოფილი ვარ!** - აცხადებს იგი.



ოპოზიციის ლიდერებმა პრეზიდენტს მოუწოდეს, - ალია-როს არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება და სამთავრობო ბლოკის დამარცხება, ან უპირობოდ გადადგეს!

- ნეტარ არიან მორწმუნენი! ბატონი პრეზიდენტი ძალაუფლების დათმობას არ აპირებს!

- **ძალაუფლებას მედუზის მზერა აქვს! ვისაც თუნდაც ერთხელ შეუხედავს მისთვის სახეში, - მზერას ვერ მოაცილებს, მოხიბლულ-მოჯადოებული რჩება, ვისაც ერთხელ მაინც განუცდია ბატონობისა და მბრძანებლობის ზარხოში, - უკვე აღარ ძალუძს მას შეეღიოს. გადაფურცლეთ მსოფლიოს ისტორია და ძალაუფლებაზე ნებაყოფლობით უარის თქმის მაგალითები მოიძიეთ: - ათეულ ათასებს შორის სულასა და კარლოს V-ის გარდა, ალბათ, ათიოდეც არ მოიძებნება, რომელთაც ძალაუფლება მოყირჭებოდათ და სრულ ჭკუაზე მყოფთ, უარი ეთქვათ თითქმის დანაშაულებრივ ყინზე - კვლავაც გადაენწყვიტათ მილიონობით ადამიანთა ბედ-იღბალი!** - წერდა შტეფან ცვაიგი.

ჭეშმარიტად.

ფლორიდა, აშშ, 2003.
ჯუმბერ ჯიუკარიანი

მამა, როზორ ხარ!..

(ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან)

ოჰაიოს შტატის ქალაქ გრინვილის ბიბლიოთეკაში მე და ჩემმა მეგობარმა ვიტალი სინიციმა ერთი ჩეხი გავიცანით, სახენათელი, ორმეტრიანი გიგანტი. თურმე ჩვენს რუსულ საუბარს მოჰკრა ყური და გამოგვევა.

- **ბოდიში, შეიძლება დახმარება გთხოვოთ?** - მორიდებით ჰკითხა ვიტალის, როგორც ასაკით უმცროსს.

- რა თქმა უნდა, სიამოვნებით!

– გთხოვთ, ეს მითარგმნოთ, – რუსული ბარათი გაუწოდა, ვიტალიმ წვალბით, ჯახირით, მაგრამ თხოვნა შეუსრულა. ჩეხმა საფულე ამოიღო.

– რამდენი მოგართვით?

– რას ამბობთ! როგორ გეკადრებათ! – შეიცხადა ვიტალიმ. ჩეხი შეიმშუშნა, ბავშვით განითლდა, ბოდიში მოიხდა.

– ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ.

– გთხოვთ, სადილზე გვეწვიოთ, თქვენთვის მოხერხებულ დროს, – გვითხრა დამშვიდობებისას.

შეხვედრის დრო დავნიშნეთ.

მასპინძელი ზუსტად დათქმულ საათზე თეთრი, ახალთახალი მიცუბიბით მივიდა.

თურმე, დუაიტ გეტცი ჩვენს მეზობლად ცხოვრობს, ვაშინგტონის გზატკეცილზე, ერთსართულიან, მანსარდიან ბინაში.

– სახლი ახლახან ვიყიდე. 77 ათას დოლარად. ეს ავტოფარეხიც ჩემია, – გვეუბნება.

როგორც კი კარი გააღო, ოთახიდან ტყვიასავით გამოვარდა ფინია; პატრონს ლამის მკერდზე შეაფრინდა; კვლავ ოთახში შევარდა და სირბილს მოჰყვა, ციბრუტივით ტრიალებდა.

– მუდამ ასე მხვდება, ჩემი ერთგული მეგობარია, – ილიმება დუაიტი.

სასადილო ოთახში სუფრა გაშლილი დაგვხვდა. სალატები, შემწვარი ხორცი, თევზი, ყველაფერი თავად მოუშხადებია, რადგან მარტო ცხოვრობს.

– ჩვენი შეხვედრა იტალიური კიანტით აღვნიშნოთ; იმედია, მოგეწონებათ, – ბროლის ფუჟერებში მშრალ, წითელ ღვინოს გვისხამს.

სადილის შემდეგ სასტუმროში გავედით. მასპინძელმა მობრძლი ალბომი გადმოიღო. ახლობლების სურათებს გვატყობს.

დუაიტს ვთხოვ, თავის შესახებ მიაშროს.

– წარმოშობით ჩეხი ვარ, პრაღიდან. ცოლს გავეყარე, მყავს ვაჟიშვილი, რომელიც დამოუკიდებლად ცხოვრობს ჩიკაგოში. კარგი ბიჭია.

დედაჩემი ცინცინატი ცხოვრობს. აქამდე უნივერსიტეტში მუშაობდა, მან ჩეხურის გარდა, იცის ინგლისური, ფრანგული, რუსული და პოლონური ენები. უკვე ასაკშია, სამოცდაცამეტი წლისაა; ამიტომ უნივერსიტეტში აღარ ასწავლის.

– მისტერ დუაიტ! ორი კვირის შემდეგ ქალაქ ლებანონში გადავდივარ სამუშაოდ, ცინცინატის მახლობლად. დედათქვენის ტელეფონს ხომ ვერ მომცემთ? ვფიქრობ, მასთან შეხვედრა საინტერესო იქნება!

დუაიტი ჩაფიქრდა.

– იცით, ჯერ უნდა დაფურეკო, ნებართვა ავიღო; შემდეგ დიდი სიამოვნებით მოგცემთ ტელეფონსაც და მისამართსაც.

– სამშობლოსთან კავშირი თუ გაქვთ?

– სამწუხაროდ არა. იქ აღარავინ გყავს.

დუაიტი 1965 წლის ჟურნალს მაჩვენებს, სადაც პრალაში საპირველმანისო დემონსტრაციის სურათებია დასტამბული.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა, – ხალხმრავალი მსვლელობა დედაქალაქის ქუჩებში, წითელი დროშების ტყე, ტრანსფარანტები, პარტიის ლიდერების პორტრეტები, ყვავილები...

ქვემოთ ორი ფოტოა, – დემონსტრანტების სახეები ახლო პლანით, – გაყინული, გაქვავებული, უსაზღვროდ სევდიანი თვალები...

გავოცდი. ეს სურათები ცენზურამ როგორ გაუშვა სადღესასწაულო ნომრებში? – ვფიქრობ. ჟურნალის გარეკანს დავხედე, ამერიკული ლაიფი აღმოჩნდა.

– ყველაფერი გასაგებია!

– თვალები ადამიანის სულის სარკეაო, – ნათქვამია. ამ ფოტოსურათებს რომ დახედავ, უსიტყვოდ მიხვდები, რომ ეზიმიებათ, ან რა ცეცხლიც ტრიალებს ამ ადამიანების გულში...

... ზუსტად ხუთი წლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში ამბოხებამ იფეთქა!

– მამაჩემი რუსი იყო, გვარად მალიავსკი, – მიაშრობს დუაიტი, იგი წითელი არმიის ოფიცერი გახლდათ; ჩეხოსლოვაკიაში დისლოცირებულ საბჭოთა სამხედრო ნაწილში მსახურობდა. მამაჩემს რუსეთში სამი ძმა და ხუთი და ჰყავდა; სამწუხაროდ, არც ერთს არ ვიცნობდით.

ჩემი მშობლები 1951 წელს დაქორწინებულან. მაშინ დედაჩემი პრაღის უნივერსიტეტში სწავლობდა. დამთავრებისთანავე კანადის საელჩოში დაუნყია მუშაობა.

1969 წლის აგვისტოში ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო. საბჭოთა ჯარი რომ შემოვიდა, მაშინ მე ცამეტი წლის ვიყავი. ქვეყანა აიროა, სისხლი დაიღვარა. ეს დიდი ტრაგედია იყო ჩვენი ქვეყნისთვის. რაც მთავარია, არ ვიცოდით, რა გველოდა.

დედაჩემმა კანადის საელჩოს სთხოვა დახმარება. მალე ჩვენთვისაც მიიღო ვიზები. ასე რომ, დედაჩემი, ჩემი და და მე შინიდან გამოვიქცეთ. მას შემდეგ არც მამაჩემი გვინახავს, არც სამშობლო...

პირველად გერმანიაში ჩავედით, ბონში. გერმანიიდან კანადაში გადავფრინდით; იქიდან – ამერიკაში ჩამოვედით. უკვე ოცდაექვსი წელია, აქ ვცხოვრობთ. ქალაქი გრინვილი ისე მომეწონა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არც მიცდია. ოცდაოთხი წელია, ამ ქალაქის ერთ დაწესებულებაში ვმუშაობ.

მამაჩემის შესახებ დიდხანს არაფერი ვიცოდით. ჩემმა დამ, ანამ, რომელიც ტეხასში ცხოვრობს, თავისი ნაცნობ-მეგობრების დახმარებით დაადგინა, რომ მამაჩემი თურმე საქართველოს დედაქალაქში, თბილისში ცხოვრობს, ჰყავს ოჯახი, სამი შვილი. ძალიან მოგვიწონდა მისი ნახვა. წერილი მივწერეთ, რომ მის სანახავად ვაპირებთ ჩასვლას.

რომ იცოდეთ, როგორ ველავდით, როგორ ველოდით პასუხს; ღამეები არ მეძინა,

სამწუხაროდ, ორი დღის წინ ჩემმა დამ დამირეკა. მამაჩემს ჩვენს ჩასვლაზე უარი უთქვამს...

უაიტი კარგა ხანს გაირინდა. ეს გიგანტი კაცი თითქოს დაპატარავდა; მხრებანეული იჯდა სავარძელში და ერთ წერტილს დამტერებოდა...

– ჩვენ ხომ არაფერი გვინდოდა, პირიქით, მისთვის გვსურდა დახმარება, მისი ოჯახისთვის საჩუქრებს ვამზადებდით...

მართალია, მრავალი წლი გავიდა; მას უკვე სხვა ოჯახი აქვს, შვილები ჰყავს, ნათესავების წრე, მაგრამ ჩვენ ხომ მისი შვილები ვართ? ამდენი წელი იმის მოლოდინით ვცხოვრობდით, რომ მამაჩემი ცოცხალია და ოდესმე შეხვედები-მეთქი...

სამწუხაროდ, ყველაფერი დამთავრდა! რაკი მან ჩვენთან შეხვედრა არ ისურვა, ეტყობა, მის ცხოვრებაში არაფერს წარმოვადგენთ.

ძალას ვერ დავატანთ.

ენანობ, რომ ასე დაიმსხვრა ჩვენი ოცნება – ზღაპარი, მაგრამ რას იზამ, ოდესმე ყველაფერი მთავრდება...

ალბათ, აღარ გვეწერა ერთმანეთს ჩავხუტებოდით. არადა, როგორ ვოცნებობდით, ამდენი წლების შემდეგ გულში ჩამეკრა და მისთვის ერთადერთი სიტყვა მეთქვა, – მამა, როგორ ხარ?..

გრინვილი, ოჰაიოს შტატი, აშშ
ჯუშუმერ ჯიშკარიანი

პურ-ღვინო და არა პურ-მარილი



თეიმურაზ ღვინტი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველო ღვინის სამშობლო და აკვანია. ამ მოვლენას 8000 წლის ისტორია აქვს... გავითვალისწინოთ შულავერის კულტურის მონაპოვარი – ღვინო, ასევე შერეული კულტურები – ხორბალი და ქერი. ასე რომ, პურის, როგორც **ჭამადი სიცოცხლისა** და ღვინო, როგორც **სასუმელი სიცოცხლისა** სიმბოლური გააზრება უძველეს ხალხებში, სწორედ რვა-ასწლოვან სიღრმეებში უნდა ვეძებოთ...

ამ მოსაზრებას ის ფაქტიც ამყარებს, რომ შულავერის კულტურაში დედა-ღვთაების უმი თიხისგან გამოძერწილი მცირე ზომის რამდენიმე ქანდაკებაც მოიპოვება. თიხის ჭურჭლის ნატეხებზე წითელი კვალის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ წითელს ღვინოს თავიდანვე მიძღვნილი სარიტუალო პროდუქტი ყოფილა.

ვაზის კულტურამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართველთა მოდემის ხალხთა ყოფიერებასა და ცნობიერებაზე, შემოქმედებითო აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ამ თვალსაზრისს გვიდასტურებს წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე): *თუ ერმა პური და ქერის ხვნა-თესვის გარდა, ვაზის მოვლა იცის კარგად თუ ავად, ჰქმნის ამ ერს, სხვისაგან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ გონებითაც და აქედამ, ზნეობითაც, ვაზი, ვენახი, ვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მინათმოქმედებისა, და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება, უფრო მეტს გონების გარჯას და მოხერხების ძალას ჰსთხოვლობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქერისა. აქ გონებას, საზიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქედამ გახსნისა და წარმატებისა. ვენახი ხომ ერთის დღისა და წლის საქმე არ არის, იგია ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავნი, ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრისა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვანისა. აქაური გლეხკაცი შეჭხარის ვენახს ჯერ, როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე, როგორც მამა-პაპის ნაშრომ ნაღვანის სახსოვარს და ნაშთსა. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია, კარგად უნდა შემოქმედებდეს აქაურ გლეხკაცობის ავკარგაინობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე...*

თამამად შეიძლება ითქვას, არ გვეგულება ქართველი მევენახისა და მინათმოქმედის უფრო ლაკონური, ღრმა

და ყოვლისმომცველი სახისმეტყველება...

მკითხველი დაინტერესდება, თუ რა ზეგავლენას ახდენს მევენახეობა-მეღვინეობა **აქაური კაცის ავკარგაინობაზე, მისი სულის და ხორცის მოძრაობაზე?** რა ნიშნით ხასიათდება ქართველი მევენახე-გლეხკაცის **სულისა და ხორცის მოძრაობა?**

სულისა და ხორცის მოძრაობის უპირველესი გამოხატულებაა ქართველის სტუმართმოყვარე ბუნება. ეს თვისება მომდინარეობს ვენახის, როგორც ღმრთის მცნებათა აღსრულების ნიაღის, ღვინის – **სიცოცხლის სასუმელის** მცნებებიდან. ქართველი კაცის სტუმართმოყვარე ხასიათი ხომ **პურ-ღვინის** ტრაპეზის გარშემო გვირგვინდება, ტრაპეზი კი წარმოადგენს, ღმრთისგან მიღებული მადლის სტუმრებთან განაწილებას, ასევე ამ რიტუალით ამაღლებული განწყობის შექმნას. ამ მადლის გამცემს კი უმრავლებს ღვთიურ მადლს...

ვენახი, ღვინო, პური და სტუმარი ხომ ღმრთისგან მოვლენილი სიკეთე და დიდი მადლია. ბოლო ორასი წელი ტრადიციულ სუფრას შემოეძარცვა ბრწყინვალე შესამოსელი, ერთგავარად გახუნდა, მაგრამ დღეს ქართული სუფრა თანდათან იბრუნებს მისთვის ჩვეულ ქრისტიანულ იერსახეს, შინაარსსა და ფორმას.

პურისა და ღვინის ფსიქოლოგიურ-შემეცნებითა დამოკიდებულებამ გარკვეული რიტუალისა და წეს-ჩვეულების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ქართულ სამყაროში შემორჩენილი უძველესი ტრადიციები მოიაზრებს პურისა და ღვინისადმი განსაკუთრებულ, საკრალურ წარმოდგენებზე დამყარებულ სარიტუალო წეს-ჩვეულებებს. ქართველი კაცისთვის ბედელში პური და ქვევრში ღვინო ძირითადი სარჩო-საბადებელი იყო, რაც მისი ღირსებისა და კარგი კაცობის ნიშანია.

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო,
წლით-წლობამდე გამყოლია...

პურ-ღვინიანი კაცის ხასიათს კარგად გადმოგვცემს ხალხური ლექსი...

წუნკ კაცზე პურ-ღვინიანი
ასი გაფრენით მეტია...

ლექსში მოიაზრება ორი მთავარი ასპექტი – ა) რადგან ერთმანეთისგან გამიჯნული და დაპირისპირებულია წუნკი კაცისა და პურ-ღვინიანი კაცის ცნებები, ლოგიკურად წუნკ კაცს არ ახასიათებს ის თვისებები, რაც ნიშანდობლივია პურ-ღვინიანი ადამიანისთვის – ხელგამლილობა, სტუმრისა და მოყვასის სიყვარული, სილაღე, ღვთიურ მადლთან ზიარება. ბ) პურ-ღვინიანი კაცი **ასი გაფრენით** მეტი ყოფილა წუნკ კაცთან შედარებით. თუ დავუკვირდებით, **ასი გაფრენით მეტობაში** ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა მოიაზრება. ხატოვანი გამოთქმა მიგვანიშნებს, რომ **პურ-ღვინიანი** კაცი ზეცისკენ, ანუ უფლისკენ მიისწრაფის. სიტყვა **ასის** მოხმობა მთქმელისთვის მიუღწეველ სიმაღლეს ნიშნავს. ფრენა ზეაღმავალ მოძრაობას გულისხმობს და საერთო არა აქვს იმ სტატიკურ განზომილებასთან, რომელშიც **წუნკი კაცი** იმყოფება.

პურ-ღვინიანი კაცის ცნება ქრისტიანული ცნობიერების ნათელი დადასტურებაა...

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ქართულ ყოფაში შემორჩენილი საახალწლო დალოცვა: *თქვენი კოდები ყოფილა სავსე და წმინდა ფქვილითა, თქვენი ქვევრები ყოფილა სავსე წითელი ღვინითა.*

პურ-ღვინიანობამ განსაზღვრა ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი. როდესაც ამბობდნენ, პურ-ღვინიანი კაციაო. ესე იგი ის ბევრის მჭამელი და მსმელი იყო? რა თქმა უნდა, არა. აბა, რას ნიშნავს პურ-ღვინიანობა?

პურ-ღვინო ნიშნავს საჭმელ-სასმელს, ჭირისა და ღვინის სუფრას, პურობას, პური და ღვინო უზენაესის მიერ ადამიანის მიმართ ნაბოძები მთავარი საკვები პროდუქტებია – ჭამადი სიცოცხლისა და სასუმელი სიცოცხლისა.

– როგორია პურ-ღვინიანი ადამიანი? – პურ-ღვინის, პურის ჭამის, ქეიფის დამფასებელი. სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი, ღვთიური მადლით ცხებულნი, ამაღლებული სულის ადამიანი.

როგორც ვხედავთ, პურ-ღვინო ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებული ტერმინია. ისმის კითხვა, – დღეს, რატომ ვამბობთ პურ-მარილს და არა პურ-ღვინოს? როგორც ჩანს, ქართულ სინამდვილეში ეს ტერმინი რუსეთთან მიერთების შემდეგ დამკვიდრდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და საქართველოში რუსული საეკლესიო მმართველობის შემოღების შემდეგ, პურობის აღმნიშვნელ ქართულ პურ-ღვინოს თანდათან ენაცვლება და ჩნდება პურ-მარილი, რომლის პირდაპირი თარგმანია რუსული **Хлеб-соль**.

წმინდა მამათა გამმართველი, **მარილს** წმიდა სახარებაში ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. გამოხატავს სულიწმინდის მადლს, რომელიც სულთმოფენობის დროს გარდამოვიდა წმინდა მოციქულებზე და დაფუძნდა ქრისტეს ეკლესია.

სულთმოფენობამდე იესო ქრისტე თავის მოციქულებს ეუბნება: *თქვენ ხართ მარილი ქუეყანისა, უკეთო მარილი იგი განქარდეს, რაითამე დაიძარილოს? არღარა შემძლებელ არს მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ* (მათე 5, 13). უფალი **მარილს** კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი მოციქულებს, შემდეგ მღვდელმსახურებს უზენაეს საეკლესიო მსახურებაზე მიანიშნებს, რომლის მეოხებით მრევლი ღვთის სიტყვას ეზიარება, რწმენა უმტკიცდება და ისევე გადაურჩება გახრწნას და წარწყმედას, როგორც კარგად შემარილებული ხორცი.

როგორც ჩანს, პურის რუსულენოვანი (ძველი სლავური) არჩევანი **Хлеб-соль**, ანუ პურ-მარილი შეჩერდა

ქრისტიანულ საეკლესიო-საღვთისმეტყველო სიმბოლოებზე – პური, რომელიც ჯვარცმული ქრისტეს ხორცის სიმბოლოა და მარილი ეკლესიის მსახურთა ღვთივმონიჭებული მისიის გამოხატულება. ასე რომ, რუსული სიტყვა პურ-მარილი ეკლესიის, ანუ ქრისტეს სხეულის შინაარსის მატარებელია.

– **რა დატვირთვა აქვს სიტყვას პურ-ღვინო?** – ქართულ ტრადიციულ სახელს პურ-ღვინოს საღვთისმეტყველო დატვირთვა აქვს, გამოხატავს ქრისტეს ხორცსა და სისხლს, ეკლესიის შვიდი საიდუმლოდან ყველაზე მნიშვნელოვანს – ზიარების წმინდა საიდუმლოს. უფალი ამბობს: *რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს... აქუნდეს ცხოვრება საუკუნო* (6. 54. 56).

ქრისტიანის ცხოვრებაში პურ-ღვინო დაკავშირებულია ქრისტესმიერი ცხოვნების საიდუმლოს, ჭეშმარიტ გზასთან, რომელსაც საუკუნო სიცოცხლისკენ მივყავართ.

პურ-ღვინოში ღვინის მარილით ჩანაცვლებამ მას სიმბოლური შინაარსი დაუკარგა და ტრადიციული ქართული რიტუალისთვის შეუსაბამო ტერმინად დამკვიდრდა.

ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებაში ვკითხულობთ, პურ-ღვინო და არა პურ-მარილი გაჩნდა ქართულ ყოფით და შემეცნებით სამყაროში. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ყოფილი კავშირგაბმულობის შენობის ადგილას (რუსთაველის გამზირზე, თ. ლ.) განთავსებული იყო სასტუმრო **მუხრანსკის ნომრები**, რომლის ბოლო სართულზე ჰქონდათ ცნობილი რესტორანი **პურ-ღვინო** (მფლობელი ლიხაურელი სანდრო თოიძე). რესტორანს ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. ორ კაცზე მხოლოდ ერთი კვარტი ღვინის მოთხოვნა იყო მიღებული. ისმოდა საქმიანი საუბრები, ვიგინდარა იქ ვერ შევიდოდა...

საყურადღებოა **ექვთიმე თაყაიშვილის** მოგონება. რესტორანში ასეთი ტრადიციის არსებობა მიგვანიშნებს იმდროინდელი საზოგადოების დახვეწილ ყოფით კულტურაზე, შეგვახსენებს, რომ სუფრა არა მხოლოდ საქეიფო და თავშესაქცევი ადგილი, არამედ განმარტოებული საუბრების საშუალებაც იყო. აქ ყურადღებას იქცევს ღვინის ზომიერი მიღების წეს-ჩვეულება.

თეიმურაზ ლლონტი



დღესასწაული ორღანის თანხლებით, ნიკალა

იყიდეთ მხოლოდ ქართული...



თბილისში, მიცკევიჩის 30-ში თორნიკე კაკაბაძემ და ჯონი მანნკავამ მცირე ბიზნესი საკუთარი დანაზოგით წამოიწყეს. მეგობრებთან ერთად მალაზიის ფართი გაარემონტეს. დღეს, **მხოლოდ ქართული** მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ახალგაზრდებს დაგეგმილი აქვთ ქსელის გაფართოვება. თბილისის შემდეგ, **მხოლოდ ქართულის** ფილიალები რეგიონებშიც გაიხსნება.

– **თორნიკე, როგორ დაიწყო თქვენი ბიზნესი?**

– 1000 ლარი გვქონდა, დაფინანსება ვერ მოვიპოვეთ, მიუხედავად ამისა, არ შევუშინდით და თამამი ნაბიჯი გადავდგით. დაგვეხმარა რამდენიმე კომპანია – იუნიქარდი, გურიელი. როდესაც ახალი მარკეტი იხსნება. რთულია მომხმარებლების და კომპანიების ნდობის მოპოვება. დიდი ბიუჯეტის მქონე მალაზიებში შესაძლოა დახლი, მაცივარი, ადგილი გააქირავეო. მაცივრები კომპანიებმა შემოიტანეს. ვთხოვეთ, მცირე ადგილი გამოეყოთ. მარკეტინგული თვალსაზრისით პროდუქცია გაშლილი უნდა იყოს, ვიზუალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გამავლობის ქუჩაა, მომხმარებლები მიეჩვივნენ. მცირე მენარმეების პროდუქციას ჩვენთან უფრო დიდი გაყიდვა აქვს, ვიდრე დიდ მარკეტებში.

– **რა ნიშა დაიკავა მხოლოდ ქართულმა?**

– შეიქმნა თავისუფალი სივრცე, ყველა პროცესი გამარტივებულია – ჩვენ ვართ დამაკავშირებელი რგოლი მცირე მენარმეებსა და მომხმარებლებს შორის. მთავარი მოთხოვნაა მაღალი ხარისხი და სერტიფიცირებული პროდუქცია. მომხმარებლები კმაყოფილი უნდა იყვნენ და მათი ნდობა არ დაეკარგოთ. მცირე მენარმეებს არ აქვთ საშუალება, ქართული ნაწარმი ბაზარზე გაიტანონ, დიდ მარკეტებში შეტანა გარკვეულ თანხასთან არის დაკავშირებული. მომხმარებლებს სრულიად უცნობი პროდუქცია შევთავაზეთ. **მაგალითად, ფიჭვის კევი. მოსწონთ ჩვენი ჯემები და მურაბები. იყიდება ატენის მამათა მონასტერში დამზადებული ჯონჯოლი, თაფლი. ქართული კომპანიების სასმელები – სარაჯიშვილი, ასკანელი, დუგლაძე, თელიანი**

ველი, გომი, თელავის მარანი, ბაგრატიონი. ლიდერფუდის და ვაკის ხორცპროდუქტები, პრემიო, ჩაი გურიელი, ტყიბულის ჩაი, საფურავის ნაყენი და სხვ. საუკეთესო ხარისხის თაფლი და ყველი.

– **თორნიკე, რა პროფესიის ხარ?**

– ვსწავლობ კავკასიის უნივერსიტეტში, ვეუფლები კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალობას. სულ აქ ვტრიალებ, თავისუფალ დროს ისევ მარკეტში ვატარებ. ჯონი სხვადასხვა პროექტებზე მუშაობს. საკმაოდ აქტიურია. ასე რომ, მცირე ბიზნესში დეიდაშვილების ტანდემი შედგა. როგორც ძმები, ისე გავიზარდეთ, სხვაგვარად შეუძლებელია.

– **რატომ მოგვენა ეს სფერო?**

– ადამიანებთან მუდმივ კომუნიკაციაში ვარ, თითოეულ სიტყვას, მიმიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. 18 წლის ასაკში კარგ გამოცდილებას ვიძენ. ცოცხალი პროცესი მომწონს. მომხმარებლებს ვაცნობთ პროდუქციას, რაც მთავარია, **მხოლოდ ქართულს...**

– **გსურთ, ქსელის გაფართოვება.**

– მალე გაიხსნება მეორე ფილიალი, ტურისტულ ზონას შევარჩევთ, გვენვევიან უცხოელები, თუმცა ჩვენთვის მთავარია, ქართველი მომხმარებლები, მარკეტის შესასვლელში თქვენ ხედავთ მხოლოდ ქართულ ნაწარმას. პარალელურად დავიწყეთ დისტრიბუცია. ძირითადად ტურისტულ მალაზიებს და რამდენიმე ღვინის ბარს ვამარაგებთ. ჩვენი მიზანია, თბილისში გაიხსნას ხუთი მალაზია. შემდეგ მოვიცვათ რეგიონები. საქართველოს მასშტაბით შეიქმნას **მხოლოდ ქართულის** ქსელური სუპერმარკეტები. დავებმართო ქვეყნის ეკონომიკას და ქართველ მენარმეებს. ჩვენი პირველი მომხმარებელი იყო ფოტოგრაფი **გოგა**




ჩანადირი, მოამზადა ფოტოკოლაჟი და სტატია. გვეხმარება KAR GE დამფუძნებელი ტარიელ ზივზივაძე. ქართული კომპანიების და ცალკეული პიროვნებების თანადგომა დამატებითი სტიმულია, ჩვენს მიერ წამოწყებულ საქმეს მეტი ასპარეზი მივცეთ.

ლელა სურმავა



ცოლი სამსახურში




ცოლი სახლში

ბახმარო

ოთხ საათზე მთას მოვექეცი. შევისვენეთ, მაგრამ სიცვიე ძალზე იკბინებოდა. ხუთის ოც წუთზე მტრედის ფერ ღრუბლებს მზის შორეული სხივები მოხვდა. ცისკიდურს, თითქო უმანკო ქალიო, მზის სხივების მოხვედრაზე შერცხვა, ბაგეტუჩები ვარდისფრად შეეღება, მთლად მიდამო ვარდის ხავერდს დაემსგავსა. ბოლოს, თვით გამომგზავნი ამ სხივებისა გამოჩნდა – **უმანკო იყო ბუნება, დედამინა, რომელზეც ჩვენ ვნებივრობთ. მთის ზურგი უთვალავ აღმასებად აბრჭყვიალდა. ამონვერილი მზის სხივნი ჰკრთოდნენ, თითქო გვეაღერსება და კდემამოსილი საგალობელს გვიგალობსო. გარშემო გამეფებულ დუმილს არაფერი არღვევდა. თვით ჩვენ სულგანაბულნი შევცქეროდით ამ დიდებულ სურათს ბუნებისას. ჩვენი სახე, თვალები – ერთიანი გამომეტყველება იყო იმ უზომო ალტაცებისა, რომელმაც მთელი ჩვენი არსება მოიცვა. მზის სხივთან განათებულ „საყორნიას“ მთამ საოცნებო სახე მიიღო. შორს ლაპლაპი დაინყო შავშეთის თოვლიანმა მწვერვალებმა.**

მზემ ცოტა-ცოტა ქვეყანა გაათბო. ჩვენც ტკბილად დავიძინეთ ნახევარი საათით. უკან შურდულივით დავეშვივით. უზამ საუზმედ დაგვახვედრა რძე და მანონი. აქეთობას ვნახეთ ბახმაროს ჩრდილოეთით მდებარე სერი ფურნია, საიდანაც მკაფიოდ სჩანს მთელი ბარი გურია-სამეგრელოსი და შავი ზღვა, მაგრამ მანამდე ნისლიც აირია და ხშირი ნაძვნარით ბახმაროში დავეშვივით.

ის იყო და ისა – დარმა ჩხირი მოგვატეხა, დაინყო წვიმა, ნისლი, წვიმა, ნისლი, დაიჭირა სიცვიე. ვიფუთნებით




საზამთრო ტანისამოსში და ეს – 31 მკათათვეს!

საშინელია ავდარში აქაურობა, როცა კოკისპირულად ასხამს ზევიდან! მეხი ისე ახლოს ვარდება, გეგონებათ, ეს არის თავზე დამატყდაო. ამ დროს, უკან ღამეში, როცა თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი სიბნელისაგან, იელავს, მაგრამ მერე უარესად ჩამობნელდება, მეჯოგე დაძრნის ტყე-ღრეში და ეძებს გარეთ დარჩენილ საქონელს, თან გულშემზარავი ხმით ღრიალებს... საქონელს უძახის... ან დათვს ეომება... უნდა ერთხელ გაიგონოს კაცმა ეს ხმა, რომ სავსებით იგრძნოს მისი შემზარავობა.

ცოტაცა გამოიდარა თუ არა, საშინელი ქარი ატყდა. გვეგონა ამ სახლებსაც წაიღებო. თავი დაუფუკარი აქაურობას, მეტი დარჩენა არა ღირდა. გზა აჭარისაკენ უნდა განმეგრძო.

თედო სახოკია



ბიჭიგეა ასფურაფა

საგვარეულო ბრალიცია შვილიშვილებს გაგუამ თავის სიხოსხლეში გადაულოცა

საოჯახო ფირმა **ასკურავა** განსაკუთრებული მეთოდით, ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ კურნავს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პერტესს, პოდაგრას და ძვლების სხვა დაავადებებს. ასკურავას გვარი მკურნალობის ძველთაძველი მეთოდის მფლობელია და მას დიდი ხანია იყენებს. საგვარეულო საიდუმლო დღემდე საიდუმლოდ რჩება და მისი ანალოგი მთელ მსოფლიოში არ მოიპოვება. ფირმის ხელმძღვანელი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, ხალხური მედიცინის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის საგამოფენო ცენტრის ლაურეატი, დიდი ბრიტანეთის ჰუმანიტარული სამედიცინო ორდენის კომანდირი, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი – პროფესორი ბიჭიკო ასკურავა თვლის, რომ ყველაზე დიდი ჯილდო მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევა იყო. ბაბუამ თავის სიცოცხლეში შვილიშვილებს – დათოს და ლადოს საგვარეულო ტრადიცია გადაულოცა, თვითონ კონსულტანტად რჩება და მათ მუშაობას დააკურდება.

სახალხო მკურნალთან სტუმრად ორჯერ გახლდით და გამაკვირვა მომსვლელთა რიცხვმა. ნებართვა ვთხოვე, იმ მდიდარ გამოფენას გავცნობოდი, რომელიც მის სამუშაო ოთახში გახლდათ მონყობილი. ვის არ ნახავთ აქ გამოფენილ ფოტოებზე – ცნობილ რეჟისორებსა და მსახიობებს,


მწერლებს, მეცნიერებს, ცნობილ სპორტსმენებს, უცხოელ პაციენტებს... მთავარი ის არის, რომ ყველა ფოტოდან მაღლიერი მზერით გიყურებენ ჯანმრთელი და გახარებული პაციენტები. იშვიათია ისეთი ფოტო, სადაც მათ დემონსტრირების მიზნით აქვთ შეხვეული ხელი, ან ფეხი, თუმცა მათი მზერაც მშვიდი და ხალისიანია, რადგან გვერდით ბიჭიკო ასკურავა ჰყავთ.

ბიჭიკო ასკურავა: თექვსმეტი წლიდან ათი წლის მანძილზე, დაოჯახებამდე, ველოსპორტს მივდედი. საქართველოს მრავალგზის პრიზიორი გახლავართ. შემდეგ ვიყავი მწვრთნელი. ამჟამად ველოსპორტის ფედერაციის ექსპრეზიდენტი ვარ. სპორტის ამ სახეობამ ჩემი საბოლოო პროფესიული არჩევანი განსაზღვრა. წინაპართა ტრადიციას აგრძელებს და ჩემ საქმიანობაში უკვე საფუძვლიანად ერკვევა უფროსი შვილიშვილი – დავითი. ბაბუას კვალს ის სპორტშიც მისდევს. როგორ არ უნდა მიხაროდეს შვილიშვილის ასეთი წარმატება. 23 წლის პაუზის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვება საქართველოდან მხოლოდ დათომ შესძლო. მან ინგლისში ქალაქ მანჩესტერში გამართულ ტურნირზე ერთ კილომეტრიან რბოლაში (ჰიტი) ერთი წუთი და ექვსი წამი აჩვენა. დათომ საქართველოს ახალი რეკორდი მოხსნა. ქალაქ პეტერბურგში, როცა ახალგაზრდა სპორტსმენმა შეჯიბრზე გაიარა, რუსმა ტრენერმა დათოს ტრენერს, როდიკო მეიშვილს უთხრა, – ქართველმა რომ გაიმარჯვოს, ჩვენ სამსახურიდან გაგვათავისუფლებენო. ველორბოლის სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

– თქვენ საიდუმლოს ნაწილობრივაც არ ამჟღავნებთ.

– არა, ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი წარსულის, გვარისა და ქვეყნის ისტორია. ჩვენ მომთაბარე ხალხი ვართ, საქართველოში ვცხოვრობდით, ვცხოვრობთ და უნდა ვიცხოვროთ. ამიტომ, არ უნდა დატოვო ისეთი კვალი, შთამომავლობამ რომ ვერ გაიაროს. ნათქვამია, ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოკვება კბილიო. რამე ცოდვა რომ ჩავიდინო, ჩემს შთამომავლობას მოეკითხება. ბუნებაში არაფერი იკარგება. თუ კარგი კაცი ხარ, ღმერთისგან და კაცისგან შესაბამის პასუხს მიიღებ. მამას ექიმობა არც ერთი შვილისთვის არ დაუძალეობია. ხშირად ამბობდა, – კაცთან მისვლა კეთილმა საქმემ უნდა მიგასწროს, სიკეთეს კი მიჩვევა უნდაო. როცა სიკეთის კეთება ყოველდღიურ მოთხოვნილებად გექცევა, ჩათვალე, ღმერთმა შეგობრად მიგიღო, ღმერთის შეგობარს, ადამიანებიც შეგობრად მიიჩნევენ.

მკურნალობის მეთოდი გამოცდილების საფუძველზე



80-იანი წლების ბოლოს მამა გაბრიელი განვყურნე... ჩემზე დიდი მადლი გადმოვიდა (ბიჭიკო ასკურავა)


შეიქმნა. ბევრჯერ შემომთავაზეს უცხო ქვეყანაში წასვლა, კლინიკებსაც მპირდებოდნენ, ცნობილი გამონათქვამის არ იყოს – სჯობს, შენს სოფელში პირველი იყო, ვიდრე სხვის ქალაქში – ბოლო. სხვაგან ყოფნას, შენ სამშობლოში ცხოვრება არ სჯობია?! თუ ვინმეს დახმარება სურს, მეძახიან, ან გამზადებულ საფენს ვუგზავნი. მისი ტრანსპორტირება სულაც არ არის რთული. საფენს გაყინულ მდგომარეობაში სადაც გასურს, იქ გაგზავნი. ინსტრუქციაც მიაქვთ. ეკოლოგიურდ სუფთა პრეპარატებით დამზადებულ ნარევის შემადგენლობა და თვისებები, ასევე წამლის სტრუქტურა და დამზადების ტექნიკა არ შეცვლილა. დაიხვეწა გადახვევის პროცედურა: ადრე ხის ფირფიტებს ყავარს იყენებდნენ, კლინიკაში ჩვენს მიერ დაპატენტებულ ალუმინის მსუბუქ ფირფიტაზე გადავედით.

ეს მაღამო მხოლოდ მოტეხილობების, ამოვარდნილობების, ტრავმებისა და ძვლის სხვა პრობლემების სამკურნალოდ გამოიყენება. ძვლის დაავადება ანთებითი პროცესიდან, ან სისხლიდან შეჭრილი რაიმე სახის ინფექციიდან იწყება. ადამიანი ყოველთვის ფრთხილად უნდა იყოს, რომ მსგავსი პროცესები არ განვითარდეს.

– რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ტრავმების გამო მკურნალობენ?

– საუკეთესო ნამალია ნორმალური კვება, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი. მოტეხილობების, ამოვარდნილობების და სხვა ტრავმების მკურნალობის დროს დაუშვებელია სქესობრივი კავშირი (შესაძლოა ძვლების აცილება მოხდეს), ალკოჰოლური სასმელების, თევზეულისა და ხიზილალას მიღება (ფოსფორის შემცველობის გამო, შეხორცებას აფერხებს), ჩაი, მიზანშეწონილია ხაში, ბულიონის, ხილის, ასევე კალციუმქლორიდის მიღება.

სამი საუკუნე სრულდება, რაც ასკურავების გვარი ამ საიდუმლოს ინახავს, თავად პრეპარატი, უფრო სწორად, მკურნალობის მეთოდი მეოთხე საუკუნიდან არის ცნობილი. იმედია, გვარის შთამომავლობას კიდევ არა ერთი მკურნალი შეემატება, რომლებიც ოჯახურ ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებენ.



დათო ასკურავა პაციენტთან ერთად

დევი დევიძე

ღირდა ამ ქვეყნად მოსვლა...

იაკობ მელიას დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა.

მწერლობა ჯვარცმა და მუდმივი ბრძოლაა – პოეტის **რჩეულის** ანოტაციიდან. ერთხელ კიდევ ვათვალისწინებ იაკობ მელიას პოეტურ კრებულს. ვგრძნობთ, შინაგანი ქარიშხალი ექვემდებარება ნებისყოფას, ემოცია პოეტის სულშივე თავშეკავებით ფორმდება, სიკეთის მადლით ვიმსჭვალებით.

იაკობ მელიას შემოქმედებაში პიროვნული **მე**, პიროვნულ ცნობიერებაზე გასვლა, მიძინებული სულიერი ენერჯის გამოღვიძება და სამზეოზე გამოტანაა. მწერლის ეს უინი სოციალური ფესტის მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც სულიერება თავადაა საზოგადოების მყარი საყრდენი.

რა ძვირფასია
უბრალო წამიც,
რა ღვთაებრივი
სიკეთით მმოსავს,
ერთი სიმღერის
სათქმელად მაინც,
ვფიცავ,
რომ ღირდა ამ ქვეყნად მოსვლა.

პოეტი მუდამ მზადაა, გაეპასუხოს ხმას, რომელსაც არ შეიძლება არ დაუფუჯვროთ.

შენ ხარ ვენახი, ჩემო მამულო!
ჩვენ კი უჭკნობი შენი რტოები
და მიგვაჩნია სასიყვარულოდ
გაჩენის დღიდან რომ ვართ ტოლები.

სამშობლოს გაცნობიერებისათვის შემოქმედს გააჩნია ხანგრძლივი სუნთქვა. მამულის ისტორიასა და თანამედროვეობას აღიქვამს ადამიანისადმი რწმენისა, სიძლიერესა და ძალაში. თითქოს პოეტი იმდენადაა დატვირთული ცხოვრების და სახეების სიჭარბით, რომ მზადაა ისარგებლოს თავში გაელვებული პირველივე აზრით, რომ მისგან გათავისუფლდეს. გვესმის გამოძახილი, უსიტყვო ხმა, რომელიც ყოველგვარ სიტყვაზე ძლიერია.

ფიცივით მინდა, ამ ლექსს მივანო
სამშობლოსადმი ჩემი სათქმელი,
გულში მარადჟამ წმინდად ბინადრობს,
კავკასიონის მთების ნათელი,
სხვისი სიმდიდრე რაღად ვინატრო,
მე ისიც მყოფის, რომ ვარ ქართველი!


სამშობლოს სიყვარული იაკობ მელიას ზნეობაა, მამულის განახლება, სიცოცხლის მიზანი.

შემოქმედი მთხრობელიცაა, მხატვარიც, მოაზროვნეც. მისი პოეტური საკურთხეველი მონოლითურია, მთელი ენერჯია სამშობლოსკენა მიმართული, სამშობლოთია მისი ყველაზე ამაღლებული, წმინდა გრძნობა. რწმენა ითხოვს ერთგულებას, საჭიროა სუბსტრატი, რომელსაც შეიძლება დააკისრო ამოუხსნელის პასუხისმგებლობა.

ჭუმანისტური ოპტიმიზმია იაკობ მელიას რელიგია.

ფასი თანადროულობისა ვიცი მხოლოდ წარსულთან ზიარებით.

თავისი პრობლემატიკით ისტორიული ლექსიც რომანტიკულ პლანშია გადაწყვეტილი. ვრცელი ამბავია მოთხრობილი ლექსში **დავით აღმაშენებლის აღსარება**. ნარატივის გმირი რომანის გმირივით გვაინტერესებს. ერთი



იაკობ მელია

ადამიანია და ვრცელ ამბავს აღვიქვავთ. პოეტთან ისტორიული პიროვნება განსჯილია თანადროულობით.

ლექსი რთულია და ამავე დროს უბრალო შინაგანი აგებულებით. ჩანს ისტორიის რეალური სვლა, მისი ზიგზაგები და პერიპეტები.

ვიყავ ამ ქვეყნად, ვაოტე მტრები,
ტვირთვით ვზიდე სიმძიმე ჟამთა,
სამშობლოს ბედი ავნიე მხრებით
და ღვთისმშობელმა გზა გამინათა,
და ჩემი სული აჩნდა გელათად.

პოეტი აღიარებს ინდივიდუალობათა ერთობლობას, რომელთაგან თითოეული თავისთავად, სუბსტანციურ არსს წარმოადგენს. სამყარო ღიაა ამ პერსონისთვის, გმირი საკუთარი თავის განმსაზღვრელიცაა, სამყაროს მიერ განსაზღვრულიც და სამყაროს განმსაზღვრელიც. იგი ვიზუალურია, რომლის იქით დგას გონებაჭვრეტითი სახე, განყენებული ხედვა ცოცხლდება და ამითვე გაახლებული.

იაკობ მელიას უსათაურო ლექსი **მეც მიჭირს ზოგჯერ** არღვევს ლირიკული სიუჟეტის ფარგლებს და აფართოებს პოეტური სახეების მნიშვნელობას. პოეტი საკუთარ თავს ადამიანთა ბედნიერებას უძღვნის. მზადაა, უზენაესი მაგალითისათვის, რათა ისინი **სულის რეცხვით** განიწმინდონ. შემოქმედის ცნობიერებაში მთელი სოცოცხლე კი არ აისახა, არამედ მხოლოდ მებრძოლი მხარე სიცოცხლისა. **მეს** ცნობიერებაში **მეს** მებრძოლი ნაწილი. ობიექტის ცნობიერებაში სამყაროს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც **დაუფლებული** ან **უკუგდებული** უნდა იქნეს. იგი ოსტატობას კი არ ეყრდნობა, არამედ – განცდას. ოსტატობა სჭირდება, როცა ლექსს განიცდის გასამხელად ქმნის... პოეტი მზადაა, წინააღმდეგობა ჰარმონიად აქციოს,

მე მიჭირს ზოგჯერ,
ვიტანჯები,
როგორც მიწდია...
...მაგრამ სამშობლო
მეგობრებო!
ისე დიდია, –
არა მგონია
რამე იყოს
სამშობლოს იქით!

იაკობ მელიაზე ფიქრისას მკვიდრდება ერთი აზრი, რომელიც შეეხება ქართულ ხასიათს. ჩვენი ეროვნული ფსიქიკის ერთ თავისებურებას. დაისმის კითხვა, – რა არის მის შემოქმედებაში ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისება? რა არის ის ძირითადი თავისებურება, რომელიც განსაზღვრავს პოეტის ინდივიდუალურ პროფილს?

პასუხს იძლევა იაკობ მელიას ბიოგრაფიაზე დაკვირვება. მისი ბედი ზოგან ამკარად, ზოგან კი უაღრესად ფარულად ჩანს, რომ ეს თვისება მოყვასისათვის თავგანწირვაა, მსხვერპლია, საკუთარი სიცოცხლის არად ცაგდება მოყვასისათვის საკეთილდღეოდ.

მოყვასისათვის თავგანწირვაშია პოეტის შემოქმედების პათოსი.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ უდაოა, შემოქმედის ბიოგრაფია ისტორიის ფურცლებზე მისივე შემოქმედებით იწყება და ამ **კანონს** ვერავინ გააუქმებს.

მწერლის ბიოგრაფიული მიმართება ისტორიულ პროცესთან შემოქმედებითი მართობითაა გაშუალებული. იგი დროის კულტთან მონაცვლეობით განხეთქილებისა და შერიგების კვანძებითაა გადახლართული.

ადამიანური კრიტიკიუმებით თუ ვიმსჯელებთ, იაკობ მელიას ცხოვრება დიდი ცხოვრებაა. მისი თავგადასავალი უფრო ვრცელ პარტიულ-პოლიტიკურ პორტრეტს წარმოადგენს. ვერავინ აღწერს მის ცხოვრებას თვით მასზე უკეთ. მისი შინაგანი მდგომარეობა, მისი ნაღდი სიტუაციები მხოლოდ მისთვის არის ცნობილი. წარსულზე რომ ფიქრობს, სინამდვილეში იმაზე საუბრობს, როგორ გადაიქცა წარსული აწმყოდ. წარსულის დავინყება შეუძლებელი შეიქმნა, იმ წარსულისა, რომლის მოვლენებიც აახლოებენ სამშობლოსთან, რომელიც საასპარეზოდ უხმობდა.

ალბათ განგებამ განსაცდელი ასე ინება, –
ენვეარ დანის ქვეშ
ბედ-იღბალი არ გამიღიმებს,
ანდა დაბანგულს სამუდამოდ ჩამეძინება.
კაცის სოცოცხლეს ზოგჯერ თურმე იღბალი
ჰქვია...

დღეს რელიქვიის მსგავსად
ვხედავ ჩემს მაგიდაზე
ორმოცდაერთის მოგონებად
დარჩენილ ტყვიას.

ეს ლექსი აღიქმება, როგორც აღსარება სულისა, ოცნებისა, მოგონებისა ესაა მისი ბიოგრაფია. ლექსი საყურადღებოა იმით, რომ მღელვარე ფიქრებს იწვევს. წყევლის ომს, თუმცა ომი არც კი არის ნახსენები. მიღწეულია ხასიათის, თქმის, განწყობის მთლიანობა, პროზაული ხედვა საგნებისა. აქ მთავარი, არსებითია ფსიქოლოგიური თემა. იდეა თითქმის საფუძვლშივე გაანალიზებული. განცდათა რეალობაში რწმენის გარეშე სოცოცხლე შეუძლებელია. პოეტმა იცის, ბედნიერება წარმოსახვაშია.

იაკობ მელია ცხოვრებისეული პროზის სევდიანი დამკვირვებელია. სამყარო და პოეტი ესაა ნაპერწკალი, რომელიც მათი კონტაქტით იქმნება. შემოქმედი საკუთარი მეობით არის დაინტერესებული. ორმაგად განიხილავს თავის მეს, როგორც სუბიექტს და როგორც ობიექტს.

შემოქმედი ლექსებში **მონატრება, ფიქრები ნოკოლოზ ბარათაშვილზე, ლადო ასათიანს**, თვითგამოსახვით არის გართული, საკუთარი მეობა, საკუთარი სამყარო გადმოგვიშალა, ჩვენთან ერთად ფიქრობს. ფიქრობს რა საყოველთაოზე, არ ივინყებს ინდივიდუალურს, სახასიათოს. პოეტის გონება დახეტილობს და ესწრაფვის, მაგრამ ხედვას, ხედვა გამჭოლია, რეალური, სულის რეალობა მასში მეთოღია, ხერხია, განაწყოს საგნები რიგზე.

და ლექსში
ვერ შემოგეპარა,
ველარც წყეული აბსტრაქტი და
ვერც მოდერნიზმი,
არც გვჭირდებოდა,
არც ეძებდი ყალბ მოწყალებას,
იყავ ამბოხი,
სიკვდილამდე მლიქვნელთა ურჩი.

ლადო ასათიანს

დაბეჯიდებით შეიძლება ითქვას, ნაციონალური ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი აძლევს ტონს პოეტის შემოქმედებას.

პოემების **მზე და სანგარი, სიმღერა სიყვარულზე, ბა-ლადა ხელმანდილზე, კოლხური მწუხრი** ცხოვრებისეულად ტევადი და საინტერესოა არიან, იაკობ მელიამ, ფსიქოლოგმა სოციალური მოვლენების აზრი და წონა იცის. პო-

ლიტიკურ ამბებს თავს არიდებს. საკუთარი სამყარო აქვს, სადაც თავს მეუფედ გრძნობს. ეპოქის პოლიტიკური და ყოფითი სურათები სჭირდება ფონად, რომელზეც აღბეჭდილია გმირთა ხასიათები.

პოემების ძირითადი მოტივია პიროვნების რაობა, მისი დანიშნულება და ადგილის ძიება სოციალური და სულიერი მოვლენების მჭიდრო ურთიერთკავშირში.

მაღალ რეესტრში თხრობა აქ ფსიქოლოგიურ გამოსახვას უფროს, პოეტი მათ ყოფაცევას იძიებს, ორმხრივად განიხილავს **მეს**, როგორც სუბიექტს და როგორც ობიექტს.

პოეტი მოვლენების, ეპოქის არსს ხატავს ტიპის, პიროვნების დოენზე, ადამიანთა ბედის ჩვენებით ხსნის მათ ადგილს ცხოვრებაში და არა უბრალოდ სულიერი ნყოფისა და მატერიალურ-წარმოებითი პირობების მექანიკური შენაერთით.

თვითნაალიზი აღრმავებს ტიპურობის ხარისხს.

იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში შეღწევას, იაკობ მელია თავის საუფლოშია, განცდის ფესვი ცხოვრებისეული, რეალური, ღრმა და ლამაზია. განა საჭიროა იმის განმარტება, რომ გრძნობა, რომელიც ამ პოემებს უღვევს საფუძვლად, დასაწყისში წყნარი, თითქოს შემთხვევითიც, ყოველ სტროფში ამალღებული, ფსიქოლოგიურად ახალი და პოეტურად მოულოდნელია!

ამ პოემებს ჰყავთ თავისი მოქმედი პირები, აქვთ თავისი დამთავრებული ისტორია და ახალი მოქმედების ადგილი.

იაკობ მელიასათვის სოცოცხლე მოქმედებაა, მოქმედება კი – ბრძოლა...

მეტყველების სიმბოლურობაშია მისი პოეტური ხელწერის არსი, როგორც სიტყვათშემოქმედის თავისებურება, სიტყვის ტკივილის განცდაში, ძირითადი ლექსიკური მარაგიდან ახალი შედგენილობის სიტყვების შექმნასა და მათი ახალი სემანტიკურ-ემოციური იერით დატვირთვაში იჩენს თავს.

ახალი ფორმა ახალ გამოთქმას ეძებს....

პოეტმა დაიმორჩილა ფორმა და გახდა ბატონი თავისი სტილისა.

ბათუმისადმი მიძღვნილ ლექსში, რომლებიც ფოლადისებური კონსტრუქციითა და თვითმყოფადი, ლაზათიანი, მსუბუქი ნაჭედობით გამოირჩევა, პოეტი ფაქტის ფიქსირებით მიდის განზოგადებამდე...

მე მივდიოდი
შავი ზღვის პირად...
მზით დახატული,
ხელი შევახე პალმას, –
ვით ლირას,
და ხმა გადმომცა
ანდამატური
თურმე ეს იყო,
რასაც ვეძებდი,
ახდა ოცნება
ბევრჯერ ნატრული,
გულში დამკვიდრდა,
როგორც სიმღერა –
ჩემი შავი ზღვა,
მზე და ბათუმი.

მზე და ბათუმი

პოეტი დასდევს თავის სულიერ აჩრდილს, მისი მეობა განაგრძობს სრბოლას სულის სფეროში და მარად ახალ ამოცანებს უსახავს თავის თავს.

...სამოთხე თურმე სიცხადე არი,
მე რომ სიზმარი მეგონა წინათ,
ბათუმო!

ამ ზღვას,
ამ ბაღნარს,
ამ მთებს,
ვიცი, ვერასდროს ვერ დათმობს გული.
მე შენი ტრფობა მარადყამს მმართველს,
შენ ძვირფას დღეთა ხარ ნავსადგური.

სიმღერა ბათუმზე

ეს სიტყვები პოეტის მოულოდნელი აფეთქების ნაყოფია. იგი იმ სათქმელის აღმოქმედა, რომელსაც შემოქმედის გულში ღრმად გაუდგამს ფესვები. მას ძალა შესწევს, ასახოს საკუთარი თავი და სამყარო, ამიტომ ფეხს იკიდებენ მისი ლექსები ბათუმზე, როგორც ცხოვრების მოვლენები. მის ლექსებში ვიპოვებ პასუხს სულის კითხვებზე, ლექსებმა ბათუმზე მიანიჭა მის სულს მშვიდობა და ჰარმონია. ისეთი ამაღლებული წუთები აჩუქა, რომელსაც გარეგანი ცხოვრება ვერ მისცემდა.

პოეტი დაუპყრობელი სიმალეებისკენ ისწრაფვის, ეძიებს მხატვრულ იდეას, რომელიც ხორცს შეასხამს ეთიკურ პრობლემას. შემოქმედი დაჯილდოებულია ადამიანური თვისებებით – ფიქრის უნარით, პრობლემასთან მიდის დიალექტიკურად...

შავი ზღვა მეალერსება,
გარშემო მთები მახლავს,
ყოველდღე ვიბადები და
სიცოცხლეს ვიწყებ ახლად...

იაკობ მელიას პოეზიაში სამყაროს მრავალფეროვნების შემეცნების სათავეა თვითნაღიზი, რომელიც მოკლებული არაა სკეპტიკურ ნიუანსებს. პოეტის შემოქმედება არ ემორჩილება ორდინალურ ფორმებს. იგი მიზნად ისახავს აბსურდულ სამყაროში მარადიული ადამიანის გამოვლენას, რომლის ლანდი და მოაწახაზი, როგორც საფუძველი, თითქმის ყველგან და ყველაფერშია ინდივიდუალურ და სოციალურ ყოფაში. არ ვიცი, რომელი მხრიდან გახსნის ავტორი გამოსაკვლევ საგანს, რომელი მხრიდან შეხედავს ობიექტს. საგნებზე საუბრისას პოეტი არ შემოსაზღვრავს მათ.

...ზღვა მშვიდია და სათუთად მთრთოლი
მზე მაღალ მთებს გადაღმა ქრება,
მივდივართ ორნი,
ლამდება ისე, ვით ჩაფიქრება.

პატარა ლირიკული ლექსი **ქალს პაექრობა კაცთან არ შეენის** მოიარებით ნათქვამია, მაგრამ საკვებით გასაგები. ღრმა და საგულისხმოა მისი გააზრება, არის ამ ლექსში სიცოცხლეც, სიცოცხლის წყაროც, მოვლენაც და მოვლენის მიზეზიც.

ქალს პაექრობა კაცთან არ შეენის
როგორც მზაკვრობა, ანდა ლალატი,
უპირველესად ოჯახი შენი,
ქვეყნის ავ-კარგზე მერე ლალადი.

ამ ლექსში სიყვარულის მშვიდი ტანჯვაა, ბედისაგან მოვლინებული გულის ხარკია ნაზად და ღრმად შეყვარებული ადამიანის მიმართ.

თითოეულ სტროფში არის ზესკნელი და ქვესკნელი. არის დრო, არის სიყვარული, არის სამყარო. სამყაროში არსებობს მეთოდი, სიყვარულის მეთოდი. მეთოდი ნავიდა და დაიწყო ცხოვრება. იმარჯვებს სიყვარული, სიცოცხლე იმარჯვებს.

წყაროსთან ჩამოგისწარი,
ჩემს ბედს მაღლობას ვწირავდი,

მე მონადირე ვიყავი,
გამოვედევნე ციცარს...
...ნამდვილად ჰგავდი ლამაზო,
მთაში აფრენილ ციცარს!

სიყვარული... ეძიე სიყვარული, აჩუქე სიხარული და თავადაც ესწრაფე მას. გიყვარდეს, ვიდრე სიყვარული შეგიძლია. ეს იდეა უდევს საფუძვლად მის შემოქმედებას.

პოეტი საკუთარ ღმერს უმღერის, საკუთარი მიკროსამყარო გადმოგვიშალა, ლექსები სიყვარულზე ლოცვაა. შემოქმედი თხზავს ღვთაებრივი ექსტაზით. ყველაფერი, რისთვისაც თხზავს, მასშია ჩაფლული, მისი ნამდვილი ღმერთია. თითქოს დაჟინებით მიემართება ღმერთისაკენ იმის საკითხავად, რაშია სამყაროს აზრი.

როცა სიყვარულზე წერს, ვგრძნობთ, როგორ აუჩქარებლად, თუმცა მღელვარედ თხზავს. მისი შემოქმედებითი ფანტაზია სიყვარულია.

ვინ იპოვა გულისთვის სიტბო?!
ქალის სიყვარულს
მზიურ მადლით ამშვენებს ზენა.
იდეისადმი მხარდაჭერა თავად იდეა!

იაკობ მელიას პოეტური ენის ნიშანდობლივ სტიქიაში თავისი პირველადი და უცვლელი ე.წ. ინვარიანტული, შინაარსით ფიგურირებს ქართული ცნობიერებისათვის ისეთი საკრალიზებული ნიშნები, როგორიცაა სიყვარული, რწმენა, სიკეთე, თავისუფლება. პიროვნული და ეროვნული ღირსება. როდესაც ეს ნიშნები გარემოს მოთხოვნილებებთან ერთად თანხმიერ კავშირზე გადიან, ხდება მათი ინტენსიური ამოქმედება.

უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებს ფორმის მრავალფეროვნება, აზროვნებისა და მეტყველების ენერგიულობა, სიღრმე და სისადავე, პოეტი ემორჩილება მხოლოდ თავის შინაგან მონოდებას, იღუმალ ხმას. ყველა მოვლენა სამყაროში არსებობს თავისთავად, პოეტი გადადის მათში, ცოცხლობს მათი სიცოცხლით, სიყვარულით ელოლიავება მათ.

იგი იყენებს სალექსო მეტყველების მისეულ მანერას, რითმაც თავისებური აქვს. ხანდახან, ლექსის ამ თითქმის აუცილებელ სამკაულს პოეტი გაურბის, მას ტექნიკური უსრულობა ისე არ აშინებს, როგორც ლექსის უშუალობის დაკარგვა. შემოქმედი ზოგჯერ მიმართავს დატყეხილ სტრიქონებს, რასაც აზრი მოითხოვს, ბევრი ლექსი ინტონაციაზეა აგებული. რიტმი, როგორც ბგერითი სისტემა, არა აქვს, მაგრამ ეს უკანასკნელი მასში მონაწილეობს, როგორც განწყობა. სიტყვათა დაჯგუფება გარკვეულ სახეს წარმოგვიდგენს. სინთეზი ერთ მთლიან სურათად აღიქმება.

შემოქმედების პროცესში პოეტი საგანგებოდ არ ფიქრობს ფორმაზე. ფიქრობს სათქმელის არსზე. ასე იბადება ფორმა თვითმყოფადი, მოულოდნელ აზრთა მსვლელობანი.

ჩუმად
მძიმდება წამი
და ამ ლამაზი
ასულის ლელვით, –
სურიდან თითქოს
იღვრება წყალი.
ძიება აერთიანებთ ადამიანებს.

დრო მიდის, დრო ამტკიცებს ჭეშმარიტებას.

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საპატიო პროფესორი

განიის თველთა ლა კონკურთა ოჯახეზი

ღუმბაქეზი

- 126. გიორგი ივანეს ძე**
მათი ვაჟიშვილები: ფარსადანი, იასე, ალექსანდრე, კონსტანტინე, ქალიშვილები: მაკა, იულიტა, სადუკა
- 127. ზაალ ხუტუს ძე**
მეუღლე მისი ჯუფანა, მათი ვაჟიშვილები: ქაიხოსრო, ასალო, ქალიშვილები: მაკო, მატა, ელისაბედი
- 128. იულონ მაქსიმეს ძე**
მისი ძმა გიგო, მათი ბიძა მღვდელი გიორგი
- 129. ანტონ ნიკოლოზის ძე**
მეუღლე მისი მარიაში
- 130. ივანე იესეს ძე**
მეუღლე მისი ბარბალე, მათი ქალიშვილები: ეკა, ელისაბედი, ივანეს ძმები: როსტომი, ალექსანდრე, მეუღლე მისი მართა
- 131. ლუკა ალექსანდრეს ძე**
- 132. იობა შაქარას ძე**
მისი ვაჟიშვილები: გიორგი, ქაიხოსრო, ზაალი, ნიკოლოზი, ამბაკო, გიორგის მეუღლე სოფიო, მათი ვაჟიშვილი თომა
- 133. ბუჭუა ივანეს ძე**
მეუღლე მისი ძილისხანი, მათი ვაჟიშვილები: ივანე, ესიკა, გოგია, ანტონი, ქალიშვილები: ბარბალე, ელისაბედი
- 134. იასე შაქროს ძე**
მეუღლე მისი ხვარამზე, მათი ვაჟიშვილები: სიმონი, სოფრომი, გაბრიელი, ქალიშვილები: მარიაში, მართა, ელისაბედი

ქლენტეზი

- 135. კაცია ქაიხოსროს ძე**
მეუღლე მისი მაია, მათი ვაჟიშვილები: ქაიხოსრო, გიორგი, ალექსანდრე, ქალიშვილი დესპინე

იორიანიშვილები

- 136. იასე იასეს ძე**
მეუღლე მისი ბარბალე, მათი ვაჟიშვილები: დიმიტრი, გიორგი, ქალიშვილები: ფედოსია, მაკო, ძილისხანა
- 137. გიორგი იასეს ძე**
მეუღლე მისი რუსუდანი, მათი ვაჟიშვილი ტრიფონი, მეუღლე მისი მაკრინე, გიორგის ქალიშვილები: მაკო, იულიტა, ეგვიპტა
- 138. გაბრიელ სიმონის ძე**

მეუღლე მისი როდამი, მათი ვაჟიშვილები: სიმონი, მიხეილი, ქალიშვილები: რუსუდანი, ელისაბედი, ნინო, გაბრიელის ძმა იორამი, მეუღლე მისი დარეჯანი, მათი ვაჟიშვილი ნაუმი.

ქანდელაქეზი

- 139. ივანე გაბრიელის ძე**
მეუღლე მისი ანა, მათი ვაჟიშვილები: გაბრიელი, ნიკოლოზი, გაბრიელის მეუღლე ანა, მათი ვაჟიშვილები: ერმალოზი, ივანე, რაფიელი, კონსტანტინე, ნიკოლოზის მეუღლე სოფიო, მათი ვაჟიშვილები: გაბრიელი, ივანე.

მბელაქეზი

- 140. იასე გაბრიელის ძე**
მეუღლე მისი გულქანი, მათი ვაჟიშვილები: გლახუა, ბეჟანი, პავლე
- 141. ფირან გაბრიელის ძე**
მეუღლე მისი სალომე, მათი ქალიშვილები: ეკა, ჟოლა, ცაცო
- 142. სიმონ გაბრიელის ძე**
მეუღლე მისი სუსანა, მათი ვაჟიშვილები: გოგია, ასალო, ქალიშვილი დოლო
- 143. ბუჭუ გაბრიელის ძე**
მეუღლე მისი ჯაჯიკა, მათი ვაჟიშვილი ზურაბი, ქალიშვილები: მართა, ელისაბედი.

ჭყონიეზი

- 144. პოდპორუჩიკი ასალო უმაინის ძე**
მეუღლე მისი მაკა
ასალოს ძმები: ოთარი, დიმიტრი, ნიკო
ოთარის მეუღლე მაკო
მათი ვაჟიშვილი ზუსხანი
დიმიტრის მეუღლე ებე
- 145. საყვარელ გულვანის ძე**
მეუღლე მისი სულიკა
მათი ვაჟიშვილები: არჯევანი, სარმანია
პრაპორშჩიკი ერაჯიკი, ტატოლია, ერესტინი
ქალიშვილი ელისაბედი
არჯევანის მეუღლე დარია
მათი ვაჟიშვილები: მალაქია, კაცია. ჩერევანი
- 146. ვატა გულვანის ძე**
მეუღლე მისი სალომე
მათი ვაჟიშვილები: გლახუნა, ივანე
- ქალიშვილები: ანა, მატა
- 147. ლევან კაციას ძე**
მეუღლე მისი რუსუდანი
მათი ვაჟიშვილი დავითი
ლევანის ძმა ქაიხოსრო
- 148. კაიტან კაციას ძე**
მეუღლე მისი ირინე
მათი ვაჟიშვილი ჯაბუღეთი
- 149. საამა ოთარის ძე**
მეუღლე მისი სურათა
მათი ვაჟიშვილები: სიმონი, ბეჟანი, სახელი,
ზალიკა, გიორგი
ქალიშვილები: ევა, სელინოზი
- 150. ივანე ბაშის ძე**
მისი დები ანა და ატატო
- 151. ვატა დიმიტრის ძე**
მეუღლე მისი მანათყრა
მათი ვაჟიშვილები: ჩენელი, მიხეილი, ჩითანი, ბეჟანი, ალექსანდრე
ქალიშვილები: მელანია, მატინე, ელისაბედი, სულიკიდა
- 152. როსტომ დიმიტრის ძე**
მეუღლე მისი თუთა
მათი ვაჟიშვილები: ელიშუხი, მაქსიმე, გიორგი, აგია, ალექსი
ქალიშვილები: ედუსია, ანუკა, ელისაბედი
- 153. ჯიხარა აღმასხანის ძე**
მისი ძმები ეტლია, ხუტო
- 154. ვატა ქაიხოსროს ძე**
მეუღლე მისი მაია
მათი ვაჟიშვილი შალიშვილი



ქალიშვილი ბაბუსი
ვატა ქაიხოსროს ძის ძმა ალექსან-
დრე
მეუღლე მისი მზესა
155. ხოსია ბეჟანის ძე
მისი ძმა გიორგი
156. სპანდიერ ხოსიას ძე
მისი ძმები კონსტანტინე, იაგორი
157. გოჯასპ ელიშუხის ძე
მეუღლე მისი მართა
მათი ვაჟიშვილი ელვერდი
158. გიორგი ოტბას ძე
მეუღლე მისი ბალია
მათი ვაჟიშვილები: ბეჟუკა, ოტბა,
მაქსიმე,
გიორგის ძმა ალექსანდრე
მეუღლე მისი მაკა
მათი ვაჟიშვილი ბუჭუა
159. აღმასხან როსტომის ძე
მეუღლე მისი ანა

აღმასხანის ძმები: არჩილი, ბე-
ჟუკა, მაქსიმე
არჩილის მეუღლე სალომე
მათი ქალიშვილი ალათი
160. ივლიანე სიმონის ძე
მისი ძმა იულიანე
161. ელიშუხ გიორგის ძე
მეუღლე მისი რუსუდანი
მათი ვაჟიშვილები: ალექსანდრე,
ბეჟუკა, ბერი, ივანე, გიორგი
ქალიშვილები: ბარბალე, დოდო
ალექსანდრეს მეუღლე კოჭიბრო-
ლა
მათი ვაჟიშვილები: დიმიტრი,
კონსტანტინე
ქალიშვილები: მაკა, ევგენია
162. ხოსია გიორგის ძე
მისი ვაჟიშვილები: სარიდანი, აბე-
სალომი, ვახუშტი, მეტადო, კობტა
ქალიშვილები: ციცა, სოფიო, სა-

რიდანის მეუღლე ეფემია
მათი ვაჟიშვილები: ქოსპანდი,
გიორგი
ქალიშვილები მატა, ანა
ვახუშტის მეუღლე თინიკა, მათი
ვაჟიშვილი ფილიპე,
ქალიშვილი პელაგია
163. ხათა მაქსიმეს ძე
მისი ძმები დიმიტრი და ნიკოლო-
ზი
დები: დესპინე, ჯაჯიკა, კეკლუცა
164. ერდიშხან აფრასუხის ძე
მეუღლე მისი ივლიტა
მათი ვაჟიშვილი აფრასუხი
ქალიშვილები: ბებუსი, დარია
ერდიშხანის ძმა პრაპორშჩიკი
როსტომი
მეუღლე მისი სალომე
მათი ვაჟიშვილი ბეგლარი
ქალიშვილები: ნინო, ქაცია, ჯილია

ქველი ჩხატარაიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე

სასარგებლო რჩევები სისოუსხლის გასახანგრძლივებლად

გაითვალისწინეთ რამდენიმე მარ-
ტივი რჩევა. დიდი ხნით შეინარჩუნეთ
მხნეობა, პოზიტიური განწყობა და გა-
რეგნული მომხიბვლელობა.

◆ შეამცირეთ კალორიები –
თანამედროვე სამყაროში ადამიანი
უფრო მეტ კალორიებს იღებს, ვიდრე
ორგანიზმს სჭირდება, ჩვეული ნორ-
მის თუნდაც 20%-ით შემცირება კი,
მნიშვნელოვნად ამცირებს სიმსივნის
(70%) და დიაბეტის (50%) განვითარე-
ბის რისკს. უარი თქვით საქონლის და
ლორის ხორცზე, მიირთვით მხოლოდ
ფრინველის ხორცი და ზღვის თევზი.

◆ შეზღუდეთ მარილი და შაქარი
– მედიკოსები დიდი ხანია ირწმუნე-
ბიან, რომ ჭარბი მარილის მოხმარე-
ბა ჰიპერტონიას იწვევს, შაქარი კი
ასუსტებს გულსა და გონების მუ-
შაობას, ნეგატიურად მოქმედებს ნი-
ვთიერებათა ცვლის პროცესზე, ხელს
უწყობს დიაბეტის განვითარებას და
ჭარბი კილოგრამების დაგროვებას.

◆ მიირთვით ხილისა და ბოსტ-
ნეულის ხუთი პორცია – ანტიოქსი-
დანტები, რომელთაც ხილი და ბოსტ-
ნეული შეიცავს, აქტიურად ებრძვის
იმ თავისუფალ რადიკალებს ორგა-
ნიზმში, რომლებიც სიმსივნეს და
ათეროსკლეროზს, ბრონქიალურ ას-
თმას და კატარაქტას, პარკინსონის



და ალცჰაიმერის დაავადებას იწვევენ.
დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტს
შავი ქლიავი და ყურძენი, ბრონეული,
კენკრა და თხილი, მწვანე ჩაი, კაკაო
და ღვინო, ხილი და ბოსტნეული შე-
იცავს. მათ, ვისაც ჯანმრთელობის
შენარჩუნება და სიცოცხლის გახან-
გრძლივება სურს, მედიკოსები დღეში
სწორედ ამ პროდუქტს ურჩევენ ხუთ
პორციად.

◆ უარი თქვეით ლიფტზე – თორ-
მეტკვირიანი ექსპერიმენტის მსვლე-
ლობისას მეცნიერებმა დაამტკიცეს,
რომ კიბეზე ფეხით სიარული ხელს
უწყობს ჭარბი წონის დაკლებას, რა-
დგან, მათ ვინც, ლიფტით მგზავრო-
ბაზე თქვა უარი, 3 თვეში წელის
გარშემოწერილობასთან და ცხიმოვან
ნაკეცებთან ერთად, ქოლესტერინის
მაჩვენებელიც საგრძნობლად შემცი-
რდა.

◆ გამოიძინეთ სრულ სიბნელეში
– ადამიანის შრომისუნარიანობა მის
ძილზეა დამოკიდებული, ჯანსაღი
ძილისთვის კი, აუცილებელია მელა-
ტონინის (ძილის ჰორმონის) სრულ-
ფასოვანი გამომუშავება, რომელიც
ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებე-
ბთან, მათ შორის სიმსივნესთან
ბრძოლაში ეხმარება. ორგანიზმის
სრულფასოვანი განტვირთვისთვის,
საჭიროა სრულ სიბნელეში გამო-
ძინება, რადგან ანთებული სინათლე
ან ჩართული ტელევიზორი მნიშვნე-
ლოვნად აფერხებს მელატონინის
გამოყოფას.

◆ უარი თქვით თამბაქოზე –
თამბაქოთი მიყენებული ზიანის აღ-
სადგენად ორგანიზმი 15 წელს ხარ-
ჯავს. რადგან აღდგენითი პროცესი
მონევიდან რამდემე საათში იწყება,
ამიტომ სასწრაფოდ თქვით უარი
თამბაქოზე, სიცოცხლეს რამდენიმე
წლით გაიხანგრძლივებთ.



☺ ☺ ☺

გურულმა სახლში მისვლა დაავიანა, ცოლი ეკითხება:

- სა იყავი მთელი ღამე?
- სამსახურში.
- არ მჯერა.
- კინოში.
- ტყვილია მაი.
- მორიგე ვიყავი.
- არ მჯერა...



- აპა, მაცალე პანა ძილი დილაზე, მევიფიქრებ რაცხას.

☺ ☺ ☺

წარწერა გურულის საფლავეზე: ვიძახე, გლახათ ვარ, გლახათ ვარო და ე!!!

☺ ☺ ☺

მეგრელს უთხრეს გურულს კიბო აქვსო.

ხოხ, საწყალი კიბო... შეიცხადა მეგრელმა.

☺ ☺ ☺

დილა უთენიას ორი გურული ხვდება ერთმანეთს...

- რაფერ ხარ ძამა, სით მიხვალ?
- მამაჩემის საფლავეზე...
- მერე ამ დილაუთენია?
- რავა ეძინება თუ?



☺ ☺ ☺

მიხო მივიდა ექიმთან და შესჩივლა:

- ექიმო კუჭი მტკივა.
- ღვინოს სვამ?
- ვსვამ, მაგრამ არ მშველის.

☺ ☺ ☺

სვანი მივიდა მეორადი ნაწილების ბაზრობაზე:

- მარშრუტკის ნაწილები გაქვთ?
- გვაქვს, თქვენ რომელი მარშრუტკა გყავთ?
- მესტია-თბილისი.

☺ ☺ ☺

ექიმი გურულ პაციენტს სინჯავს და თავს იქნევს:

- რალაც არ მომწონხართ!
- შენ ხომ მყავხარ დახატული რა... გაბრაზდა გურული!

☺ ☺ ☺

მეგრელი ეუბნება მეზობელს:

- ბიჭო, გიგე, პიანინო 5 ლარი რომ ღირს?
- რას ამბობ, მაგი ტყუილი იქნება!
- კი ტყუილია, მარა, ხომ იაფია?



☺ ☺ ☺

მიხომ ქუჩაში ცხენზე ამხედრებუ-

ლი კინოვარსკვლავი დაინახა:

- აჰ, ნეტავი მის ცხენად მაქცია,
- ინატრა მიხომ.
- ჯერ ჰკითხე, იქნებ ვირითაც მოისურვოს გასეირნება, - ურჩია მარომ.

☺ ☺ ☺

ჯარში შეტყობინება მივიდა, რომ კაპრალ შვანგირაძეს მშობლები ავტოკატასტროფაში გარდაეცვალა.

ბაზის მეთაურმა შვანგირაძის უმუალო მეთაური დაიბარა და უთხრა:

- ახლა ერთბაშად არ მიახლო. ცოტა დელიკატურად, შეფარვით უთხარი.

წამოვიდა ოფიცერი. მოაწყო შვანგირაძის ასეული:

- ვისაც მშობლები გყავთ ერთი ნაბიჯი წინ... შვანგირაძე, შენ სადღა ეტენები...

☺ ☺ ☺

მიხო ჟიგულზეა მიყუდებული. მიაღება ინსპექტორი (გაიშნიკი):

- საბუთები მომეციო!
- მიხომ - არა მაქო.
- მაშინ მანქანას საჯარიმოზე წავიყვანო! - დაემუქრა.

წაიყვან და წაიყვანე რა, სხვაი ვერ მივეყუდები რო?

☺ ☺ ☺

სვანი მივა ექიმთან.

- ექიმო ბაყაყი გამეჭედა ტრ...ში.
- გაუკეთებენ რენდგენს.
- ბიჯო, ბაყაყი არა, მაგრამ ქვა ჩანს.
- ჰო, ეგ მე ვესროლე...



☺ ☺ ☺

რაჭველებმა თქვეს, ეჰ, ერთი სწრაფი ბიჭი გყავდა და იმასაც კატოკმა გადაუარაო.

☺ ☺ ☺

- კაცი ტულეტის რიგში დგას. ძალიან გაუჭირდა, ველარ მოითმინა და უკან მდგომ მეგრელს ჰკითხა:

- რა ვქნა ძალიან მიჭირს?
- მეგრელმა დაარიგა:
- შენს წინ მდგომს ჯიბე გაუწიე და შიგ ისაქმე...
- უი, რას ამბობ, რომ გამიგოს?!
- შენ გაიგე რამე?

☺ ☺ ☺

სვანი ჯაჭვის პერანგს ჩაიცვამს და ილიებში დაუფანგდება.

☺ ☺ ☺

- მეგრელს უფროსი ეკითხება:



- რატომ არ იყავი სამსახურში?

- კბილი მტკიოდა ნამეტანი. წამალმაც არ მიშველა.
- ეგ მიზეზი არ არის. მე კბილი რომ მტკივა ცოლს ჩავეხუტები და მიორჩება.
- ბოდიში, ბატონო. მასე ახლოს არ ვარ თქვენს ცოლთან.

☺ ☺ ☺

სვანი ცოლს მოიყვანს და როცა განმარტოვდებიან, ეკითხება:

- ქალწული ხარ?
- არა - პასუხობს ცოლი.
- ამოიღებს სვანი ხანჯალს და მოუქნევს... ქალი კვდება და განწირული ხმით ამბობს:
- თხის რქა ვარ...



☺ ☺ ☺

გურულს წნევამ აუწნია და ექიმთან მივიდა, ვერ ვარჩინო წნევასო, უთხრეს პოლიკლინიკაში. ინფაქტს? ვერც ინფაქტსო. კიბოს? გაგიგონიათ?

- აბა, ეკალს მეც ქე ვიღებ ფეხიდანო, - ხელი ჩაიქნია გურულმა.

☺ ☺ ☺

მეგრელი და ფრანგი საუბრობენ:

- ფრანგები ძალიან სექსუალურები ვართ, ქალს ჯერ მკლავზე ვკოცნით ნაზად, მერე ყელზე, მერე ტუჩ...
- მეგრელი აწყვეტინებს:
- მოიცა კაცო, მაგ დროში ჩვენ ქალი სამშობიაროში მიგვყავსო...

☺ ☺ ☺

კახელი ურეკავს ექიმს:

- ექიმო მე ის ვარ, დღეს რომ კლიზმა დამინიშნეთ, ახლა ხელში მიჭირავს და მაინც ვერ მიხვდები, რა უნდა გააკეთო.

ექიმმა უთხრა, უკანა ტანში გაიკეთეო.

- როგორ, როგორ? - ვერ გაიგო მიხომ.

- ქვედა ტანში გაიკეთეო - გაუმეორა ექიმმა

- ბატონო, ბატონო? - კიდევ ვერ გაიგო მიხომ.

- რა და ტრ..ში გაიკეთე ტრ..შიო - დაუყვირა ექიმმა.

- კაი, კაი, ექიმო დღეს რალაცა გაბრაზებული ჩანხარ და სვალე დაგირეკავო - ჩაილაპარაკა მიხომ.

☺ ☺ ☺


სვანს ეკითხებიან:

- ბავშვი კარადის თავზე რატომ გიწვესო?

სვანი პასუხობს:

- აბა, ლოგინიდან რომ ვარდება, ვერ ვიგებო.

თბილისი, ლესელიძის ქ. №25
ტელ.: 2999694, 2987995,
577411911, დავით ასკურავა: 593550030
www.facebook.com/askuravahealer



ღვინის მკვლევართა ჟურნალი

ნოემბერი



ქართული სუფრის, განმარტებული
სუფრის დროს, ღვინის ზომიერი
მოდების წეს-ჩვეულებას იხსენებენ...
თეიმურაზ ლომიძე

